პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 ივნისი 2004 №133 (2152) ფასი 50 თეთრი



# სიცოცხლის ნაწილი

## დღეს

ევროპის ჩემპიონატი იწყება! ევროპიდან ევროპამდე მთელი ოთხი წელია ხოლმე. ქვეყნებისთვის ალბათ ბევრი არაფერი, ადამიანისთვის კი გვარიანად დიდი დროა და ამ ოთხწლიანი მოლოდინის მერე ფეხბურთის მოყვარული ძნელად რომ გულგრილად შეხვდეს ჩემპიონატის დაწყებას და ძნელად რომ გული არ დასწყდეს დამთავრების მერე. მომდევნო ჩემპიონატამდე ხომ კიდევ ოთხი წელია, ადამიანის სიცოცხლის არცთუ მცირე ნაწილი.



# პორტუგაააააალ!

## დღეიდან: გიო ახვლედიანის წერილები

Euro 2004 PORTUGAL

პორტუგალია ანთებულია ფეხბურთით და ელის გამარჯვებას. ის ელის დიდ გამარჯვებას და მიაჩნია, რომ ამის ძალა შესწევს.

პორტოში არ არის სახლი, რომლის აივნიდანაც წითელ-მწვანე პორტუგეზული დროშა არ იყოს გადმოკიდებული, პორტოში არ არის ბიჭი, ეროვნული ნაკრების მაისურა რომ არ ეცვას, პორტოში არ დადის მანქანა, დროშას რომ არ მოაფრიალებდეს.

პორტუგააააალ!

დღეს დიდი ფეხბურთი იწყება.

მივყვეთ, სანამდეც მივყვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიო ახვლედიანი პორტოდან

# PORTO დღეს



# დრაკონი დრაგაუ ბერძნებს დასუნთქავს



**დღეს ხუთ საათზე** პორტოს „დრაგაუს“ მინდორზე პორტუგალია უმასპინძლებს საბერძნეთს და ამით დაიწყება ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში.

უმასპინძლებს შემთხვევით არ მითქვამს, რადგან პორტუგალია უმასპინძლებს ყველას, ვინც კი ფინალისკენ სავალ გზაზე გადაუდგება და უმასპინძლებს თავიდან ბოლომდე. ამაში გინდათ პორტუგალიური სტუმართმოყვარეობა იგულისხმეთ, გინდათ ის, რასაც ჰქვია ხოლმე მასპინძლობა ფეხბურთის დიდ შეჯიბრებებზე.

პორტუგალია ანთებულია ფეხბურთით და ელის გამარჯვებას. ის ელის დიდ გამარჯვებას და მიაჩნია, რომ ამის ძალა შესწევს.

პორტოში არ არის სახლი, რომლის აივნიდანაც წითელ-მწვანე პორტუგეზული დროშა არ იყოს გადმოკიდებული, პორტოში არ არის ბიჭი, ეროვნული ნაკრების მაისურა რომ არ ეცვას, პორტოში არ დადის მანქანა, დროშას რომ არ მოაფრიალებდეს.

ლისაბონიდან პორტოსკენ მომქროლავი ჩქარი მატარებელი სამსაათნახევრის განმავლობაში კვეთს ქვეყანას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და ამ გზის კიდეებზე სახლებიდან, ქარხნებიდან, ლობეებიდან გადმოფენილი ეროვნული დროშების თვლა მაშინ შევწყვიტე, როცა ნათვალმა ორასს გადააჭარბა, გზისა კი მხოლოდ ერთი მესამედი თუ იქნებოდა გავლილი.

პურტუგააააალ! შეძახილი ყოველი მხრიდან ისმის, არა მხოლოდ სტადიონებთან და არა მხოლოდ მაინცდამაინც საფეხბურთო ადგილებში.

პორტუგალიისთვის ჩემპიონატი და ჩემპიონობა მხოლოდ ფეხბურთი არ არის. ეს ეკონომიკის გამოფხიზლების საშუალებაა და უმუშევრობით შეწუხებული ევროკავშირის ყველაზე ღარიბ (ახალმიღებულებს თუ არ ჩავთვლით) ქვეყანაში ამდენი მოსეირის მოსვლა, ამდენი ფულის დაბანდება, შესაბამის მოგებას გულისხმობს.

მაგალითად, ლისაბონში იძულებული შეიქნენ, რომ ერთმანეთისგან 3 კილომეტრში ორი ზეთანამედროვე სტადიონი აეშენებინათ — „ლუზი“, როგორც „ბენფიკას“ ახალი სახლი, ძველი „ლუზის“ შორიახლოს და „ჟოზე ალვალადე“, „სპორტინგის“ ახალი სახლი. თავიდან ერთი სტადიონი ნდომებიათ, მაგრამ დედაქალაქის ორმა მოსისხარმა სასტიკი უარი თქვა სტადიონის გაყოფაზე. ესე ყოველი 200 მილიონი ევრო დაჯდა და პორტუგალია იმედოვნებს, რომ დანახარჯი მოსაგებს მოიგებს. საქმე კი ასგზის უკეთ წავა, თუ საქვეყნო სტიმულიც დაიბადება — მასპინძლები ჩემპიონები გახდებიან.

მაგრამ ლისაბონური სტადიონებიდან პორტოს დავუბრუნდეთ. აქ სამიდან ორი სტადიონი მასპინძლობს ევრო 2004-ს, გახსნის თამაშს კი გასაოცრად განახლებული „დრაგაუ“, ადგილი, სადაც ახლა ევროპის ჩემპიონთა თასია დავანებული.

პორტო ამაყობს და ეროვნულ დროშებში აქა-იქ დიდი კლუბის დროშებიც გამოერევა. პორტუგალია მხარს უჭერს თავის ნაკრებს სუპერმარკეტის და ქუჩის დონეზეც. მაგალითად, სამკაულების მაღაზიის წინ აღმართული სტენდი გვამცნობს, რომ ქვეყნის ისტორიაში პირველი სანაკრებო ჰეთ თრიქი ვოლდემარ მოტას შეუსრულებია, ჯერჯერობით ბოლო კი ნუნუ გომეშს.

„დრაგაუ“, ცხადია, დრაკონს ნიშნავს, თუმცა თეთრი და არაჩვეულებრივად მსუბუქი სტადიონი არაფრით ჰგავს დრაკონს. საკალამბურედ კი იმის თქმა შეიძლება, რომ ამ საღამოს „დრაგაუ“ იმგვარი ცეცხლოვანებით დასუნთქავს ბერძნებს, რომ იმათგან აღარაფერი დარჩება.

თუმცა, აქ უნდა გვახსოვდეს, რომ პორტუგალია მზით გაჯერებული, ჯიგრიანი, მელანქოლიური და კაი სალმის ხალხის ქვეყანაა. ამიტომ პორტუგალია არც ჰოლანდიაა და არც დანია. აქაური სიდინჯე და ტაატი დანიელს და ჰოლანდიელს კიდეც წაახდენს, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. ამიტომ, ისიც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ „დრაგაუს“ გვერდით მთელი პორტოს უპატრონო ძაღლების დიდი თავშესაფარი მოუწყვია ვიღაც კეთილ კაცს და როცა თამაში არ არის, ანუ სტადიონზე ჟურნალისტების გარდა არავინაა, ძაღლების ყეფასა და გნიასს იქაური არემარე მიაქვს.

დღეს შეფარებული უპატრონო ძაღლების ხმას ვერ გაიგებთ, ფერნანდუ მაგელანის ავენიდას კიდეზე თითქოსდა ხევში ჩამდგარ „დრაგაუს“ ოთხი ფართო ქუჩიდან დალაშქრავს აქაური მაყურებელი, რომელიც ამბობს, რომ მართალია, ფინალი პორტოში არ არის, მაგრამ პორტუგალიელთა გზა ფინალისკენ სწორედ პორტოდან, აწ აქაური ფეხბურთის გულიდან იწყება.

სხვა მხრივ კი, პორტო სოლოლაკსა ჰგავს, ხოლო ბებიები ზუსტად ისეთები არიან, როგორიც ჩვენთან. პორტო დარწმუნებულია, რომ ნაკრები ისეთივე მაგარია, როგორც „პორტუ“. ჩვენ შეგვიძლია ვედავოთ, მაგრამ აქაურ განწყობას ვერსად წაუხვალ.

ფეხბურთი პორტუგალიის სიამაყეა.

ეს ისტორიის დაბრუნებაა, რადგან სალაზარის ხანგრძლივი დიქტატურის დროს ფეხბურთი ერის პასპორტად ითვლებოდა, მერე კი დემოკრატიულმა მმართველობამ იგი როგორღაც აიგდო და დიქტატურის დამხმარედ მოიხსენიებდა ხოლმე. ახლა ფეხბურთი კვლავ პორტუგალიის სიამაყეა და ამ სიამაყის შემოქმედი სწორედ ეს ქალაქია. მოდი და, გადაარწმუნე აქაურები, რომ პორტუგალია ჩემპიონი ვერ გახდება.

პორტუგაააააალ!

ერთგვარ მშფოთვარე ნოტაზე რომ დავასრულოთ, გუშინ პორტუგალიის აეროპორტებმა 30 ათასი ინგლისელი ფანი მიიღეს.

საკვირველია, მაგრამ ინგლისელები პორტოშიაც ბლომად არიან, თუმცა აქ თამაში არა აქვთ. ბერძნები კი არ ჩანან.

გუშინ საღამოს ლუიშ ფელიპე სკოლარიმ „დრაგაუზე“ ავარჯიშა ნაკრები. ვარჯიში მხოლოდ პირველ თხუთმეტ წუთს იყო ღია უცხო თვალისთვის. მერე ყველანი პრესცენტრში ჩამოგვრეკეს.

პორტუგაააააალ!

დღეს დიდი ფეხბურთი იწყება.

მივყვეთ, სანამდეც მივყვებით.

მანიშე და პაულეტა, აი, აქაური გმირები. ჰოდა, ვნახოთ.





# ევრო 2004-ის კალენდარი



ლისაბონური „ლუზი" ფინალს უმასპინძლებს

უცნაური ამბავია: ახლა, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, ერთი სული გვაქვს, როდის შევავსებთ ბადე-ცხრილს ბოლომდე, ფინალის ანგარიშის ჩათვლით. ხოლო როცა შევავსებთ, გული დაგვწყდება, რომ ჩემპიონატი ასე მალე დამთავრდა და კიდევ ოთხი წელი მოგვიწევს ცდა. ეს გვერდი კი ეგებ ჩემპიონატის დღეებში გზის გაკვალვაში დაგეხმაროთ

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუგალია | | | | | | | | | |
| 2 | საბერძნეთი | | | | | | | | | |
| 3 | ესპანეთი | | | | | | | | | |
| 4 | რუსეთი | | | | | | | | | |

------------------- I ტური: 12 ივნისი -------------------

პორტუ. „დრაგაუ". 21.00 — პორტუგალია — საბერძნეთი

ფარუ. „ალგარვე". 23.45 — ესპანეთი — რუსეთი

------------------- II ტური: 16 ივნისი -------------------

პორტუ. „ბესა". 21.00 — საბერძნეთი — ესპანეთი

ლისაბონი. „ლუზი". 23.45 — რუსეთი — პორტუგალია

------------------- III ტური: 20 ივნისი -------------------

ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე". 23.45 — ესპანეთი — პორტუგალია

ფარუ. „ალგარვე". 23.45 — რუსეთი — საბერძნეთი

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვედეთი | | | | | | | | | |
| 2 | ბულგარეთი | | | | | | | | | |
| 3 | დანია | | | | | | | | | |
| 4 | იტალია | | | | | | | | | |

------------------- I ტური: 14 ივნისი -------------------

გიმარაეში. „აფონსო ენრიკეში". 21.00 — დანია — იტალია

ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე". 23.45 — შვედეთი — ბულგარეთი

------------------- II ტური: 18 ივნისი -------------------

ბრაგა. „მუნისიპალი". 21.00 — ბულგარეთი — დანია

პორტუ. „დრაგაუ". 23.45 — იტალია — შვედეთი

------------------- III ტური: 22 ივნისი -------------------

გიმარაეში. „აფონსო ენრიკეში". 23.45 — იტალია — ბულგარეთი

პორტუ. „ბესა". 23.45 — დანია — შვედეთი

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | | | | | | | | | |
| 2 | ინგლისი | | | | | | | | | |
| 3 | შვეიცარია | | | | | | | | | |
| 4 | ხორვატია | | | | | | | | | |

------------------- I ტური: 13 ივნისი -------------------

ლეირია. „მაგალიაეშ პესოა". 21.00 — შვეიცარია — ხორვატია

ლისაბონი. „ლუზი" . 23.45 — საფრანგეთი — ინგლისი

------------------- II ტური: 17 ივნისი -------------------

კოიმბრა. „სიდადე დე კოიმბრა". 21.00 — ინგლისი — შვეიცარია

ლეირია. „მაგალიაეშ პესოა". 23.45 — ხორვატია — საფრანგეთი

------------------- III ტური: 21 ივნისი -------------------

ლისაბონი. „ლუზი". 23.45 — ხორვატია — ინგლისი

კოიმბრა. „სიდადე დე კოიმბრა". 23.45 — შვეიცარია — საფრანგეთი

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩეხეთი | | | | | | | | | |
| 2 | ლატვია | | | | | | | | | |
| 3 | გერმა[illegible]ია | | | | | | | | | |
| 4 | ჰოლანდია | | | | | | | | | |

------------------- I ტური: 15 ივნისი -------------------

ავეირუ. „მუნისიპალი". 21.00 — ჩეხეთი — ლატვია

პორტუ. „დრაგაუ". 23.45 — გერმანია — ჰოლანდია

------------------- II ტური: 19 ივნისი -------------------

პორტუ. „ბესა". 21.00 — ლატვია — გერმანია

ავეირუ. „მუნისიპალი". 23.45 — ჰოლანდია — ჩეხეთი

------------------- III ტური: 23 ივნისი -------------------

ბრაგა. „მუნისიპალი". 23.45 — ჰოლანდია — ლატვია

ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე". 23.45 — გერმანია — ჩეხეთი

## მეოთხედფინალი

24 ივნისი. ლისაბონი „ლუზი". 23.45 — I A1 — B2

26 ივნისი. ფარუ „ალგარვე". 23.45 — III C1 — D2

25 ივნისი. ლისაბონი „ჟოზე ალვალადე". 23.45 — II B1 — A2

27 ივნისი. პორტუ „დრაგაუ". 23.45 — IV D1 — C2

## ნახევარფინალი

30 ივნისი. ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე"22.45.

I წყვილის გამარჯვებული — III წყვილის გამარჯვებული

1 ივლისი. პორტუ. „დრაგაუ". 22.45

II წყვილის გამარჯვებული — IV წყვილის გამარჯვებული

## ფინალი

4 ივლისი. ლისაბონი. „ლუზი" 22.45

### ტოტალიზატორ „უილიამ ჰილის" კოეფიციენტები ჩემპიონობაზე

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3-1 | შვედეთი | 25-1 |
| იტალია | 9-2 | დანია | 33-1 |
| პორტუგალია | 13-2 | რუსეთი | 66-1 |
| ინგლისი | 7-1 | საბერძნეთი | 80-1 |
| ესპანეთი | 7-1 | ხორვატია | 80-1 |
| ჰოლანდია | 15-2 | ბულგარეთი | 80-1 |
| ჩეხეთი | 14-1 | შვეიცარია | 125-1 |
| გერმანია | 16-1 | ლატვია | 250-1 |

*ხომ იცით, როგორც არის — კაცი არ გვეგულება, ფეხბურთი ორჯერ რომ ჰქონდეს ნანახი და თავს მცოდნედ არ თვლიდეს. ისიც ხომ იცით, რომ მცოდნე ხალხის აზრები თითქმის არასდროს ემთხვევა ერთმანეთს. მოკლედ, ასეთი შესავალი რატომ გავაკეთეთ — გვინდა, რომ ამ ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას თქვენი მოსაზრებები მოგვწეროთ, ჩვენ კი თქვენს ნააზრევს წავიკითხავთ და გაზეთში ყოველდღიურად გავარჩევთ. მოიწერეთ ნებისმიერ თემაზე რაც ჩემპიონატს უკავშირდება: ვინ მოიგებს, ვინ წააგებს, ვინ როგორი ფეხბურთელია, ვილაცას სახლში მარტო დარჩენილი ცოლი ღალატობს... მოიწერეთ ამ მისამართზე:*

**eurofan2004@hotmail.com**

### ევროპის ჩემპიონატის ყველა ფინალი 1960 — 2000

1960 ---- საფრანგეთი ---------------- სსრკ 2:1დ.დ.(1:1) იუგოსლავია
1964 ---- ესპანეთი ---------------------------------- ესპანეთი 2:1 სსრკ
1968 ---- იტალია ---------------------------------იტალია 1:1 იუგოსლავია
1968 ---- იტალია -------- იტალია 2:0 იუგოსლავია (გადათამაშება)
1972 ---- ბელგია ---------------------------------------- გფრ 3:0 სსრკ
1976 ---- იუგოსლავია -- ჩეხოსლოვაკია 2:2დ.დ.(პენ.5:3, 2:2) გფრ
1980 ---- იტალია -------------------------------------- გფრ 2:1 ბელგია
1984 ---- საფრანგეთი ------------------ საფრანგეთი 2:0 ესპანეთი
1988 ---- გფრ ------------------------------------ ჰოლანდია 2:0 სსრკ
1992 ---- შვედეთი ------------------------------ დანია 2:0 გერმანია
1996 ---- ინგლისი ------------------- გერმანია 2:1დ.დ.(1:1) ჩეხეთი
2000 ---- ჰოლანდია-ბელგია --- საფრანგეთი 2:1დ.დ.(1:1) იტალია

# ევრო 2004. A ჯგუფი

## პორტუგალია

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | რიკარდუ პერეირა | სპორტინგი, ლისაბონი | 11.02.76 |
| 12 | კიმ სილვა | ბრაგა | 13.11.75 |
| 22 | ჟოზე მორეირა | ბენფიკა, ლისაბონი | 20.03.82 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | პაულუ ფერეირა | ჩელსი, ინგლისი | 18.01.79 |
| 3 | რუი ჟორჟე | სპორტინგი, ლისაბონი | 27.03.73 |
| 4 | ჟორჟე ანდრადე | დეპორტივო, ესპანეთი | 09.04.78 |
| 5 | ფერნანდუ კოუტუ | ლაციო, იტალია | 02.08.69 |
| 13 | მიგელ მონტეირუ | ბენფიკა, ლისაბონი | 04.01.80 |
| 14 | ნუნუ ვალენტე | პორტუ | 12.09.74 |
| 15 | ბეტუ სევერუ | სპორტინგი, ლისაბონი | 03.05.76 |
| 16 | რიკარდუ კარვალიუ | პორტუ | 18.05.78 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | ფრანსისკო კოშტინია | პორტუ | 01.12.74 |
| 7 | ლუიშ ფიგუ | რეალი, ესპანეთი | 04.11.72 |
| 8 | არმანდუ პეტიტი | ბენფიკა, ლისაბონი | 05.09.76 |
| 10 | მანუელ რუი კოშტა | მილანი, იტალია | 29.03.72 |
| 18 | მანიშე რიბეირუ | პორტუ | 11.11.77 |
| 19 | ტიაგუ მენდეში | ბენფიკა, ლისაბონი | 02.05.81 |
| 20 | დეკო სოუზა | პორტუ | 27.08.77 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | პედრუ პაულეტა | პსჟ, საფრანგეთი | 28.04.73 |
| 11 | სიმაო საბროსა | ბენფიკა, ლისაბონი | 30.10.79 |
| 17 | კრისტიანო რონალდო | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი | 05.02.85 |
| 21 | ნუნუ გომეში | ბენფიკა, ლისაბონი | 05.07.76 |
| 23 | ელდერ პოსტიგა | ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი | 02.08.82 |

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

## საბერძნეთი

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ანტონის ნიკოპოლიდისი | პანათინაიკოსი, ათენი | 14.01.71 |
| 12 | კოსტას ხალკიასი | პანათინაიკოსი, ათენი | 30.05.74 |
| 13 | ფანის კატერიანაკისი | ოლიმპიაკოსი, პირეოსი | 16.02.74 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | იურკას სეიტარიდისი | პანათინაიკოსი, ათენი | 04.06.81 |
| 3 | სტელიოს ვენეტიდისი | ოლიმპიაკოსი, პირეოსი | 19.11.76 |
| 4 | ნიკოს დაბიზასი | ლესტერ სიტი, ინგლისი | 03.08.73 |
| 5 | ტრაიანოს დელასი | რომა, იტალია | 31.01.76 |
| 14 | ტაკის ფისასი | ბენფიკა, პორტუგალია | 12.06.73 |
| 18 | იანის გუმასი | პანათინაიკოსი, ათენი | 24.05.75 |
| 19 | მიხალის კაპსისი | აეკ, ათენი | 18.10.73 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | ანგელოს ბასინასი | პანათინაიკოსი, ათენი | 03.01.76 |
| 7 | თეოდორის ზაგორაკისი | აეკ, ათენი | 27.10.71 |
| 8 | სტელიოს იანაკოპულოსი | ბოლტონ უონდერერსი, ინგლისი | 12.07.74 |
| 10 | ვასილის ცარტასი | აეკ, ათენი | 12.11.72 |
| 16 | პანტელის კაფესი | ოლიმპიაკოსი, პირეოსი | 24.06.78 |
| 17 | გეორგიოს გეორგიადისი | ოლიმპიაკოსი, პირეოსი | 08.03.72 |
| 20 | გეორგიოს კარაგუნისი | ინტერი, იტალია | 06.03.77 |
| 22 | კოსტას კაცურანისი | აეკ, ათენი | 21.06.79 |
| 23 | ვასილის ლაკისი | აეკ, ათენი | 10.09.76 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | ანგელოს ხარისტიასი | ვერდერი, გერმანია | 09.02.80 |
| 11 | დემის ნიკოლაიდისი | ატლეტიკო, ესპანეთი | 17.09.73 |
| 15 | ზისის ვრიზასი | ფიორენტინა, იტალია | 09.11.73 |
| 21 | დიმიტრიოს პაპადოპულოსი | პანათინაიკოსი, ათენი | 20.09.81 |

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი



ლუიშ ფელიპე სკოლარი

# რა დროს ბენფიკაა?!

## ბერძნებს ღმერთი გაახსენდათ

**ნაცვლად** იმისა, რომ გუნდის სამსადისზე ესაუბრა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ საგანგებო პრესკონფერენციაზე პორტუგალიელი ჟურნალისტები დატუქსა.

საქმე ისაა, რომ ერთ-ერთმა გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ბრაზილიელი მწვრთნელი ევრო 2004-ის შემდეგ ლისაბონის „ბენფიკას" ჩაიბარებსო.

„დიდმა ფილმა" ამ ცნობას ბინძური ჭორი უწოდა და გაწიწმატებულმა თქვა: „რადგან პორტუგალიის ნაკრებთან კონტრაქტი არ გავაგრძელე, ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე კლუბის მწვრთნელობას ვაპირებ. ამ ლაპარაკს ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ მსგავს თემებზე საუბარი უნამუსობაა. ფეხბურთელებზე ამ ფაქტმა, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს. მე ახლა ვცდილობ, რომ ბიჭები ბერძნებთან სათამაშოდ დავქოქო. ისინი „ბენფიკას" მწვრთნელ სკოლარისთვის კი არა, პორტუგალიისთვის თამაშობენ, მეც კონტრაქტის პირობებს ვასრულებ.

მასპინძელთა მცველმა რუი ჟორჟემ განაცხადა, ჩვენ მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია, მაგრამ ამის დამტკიცება ახლა უნდა მოვახერხოთო.

ბერძნებს ნიკოს დაბიზასის გარდა ყველა ჯანზე ჰყავთ. ოტო რეჰაგელს მეგოლე დემის ნიკოლაიდისის გამოჯანმრთელება უხარია. ნიკოლაიდისი, ექიმთა თავდაპირველი ვარაუდით, პორტუგალიელებთან სათამაშოდ მოღონიერებას ვერ ასწრებდა.

იოანის გუმასს კი სჯერა, რომ ფეხბურთში ყველაფერია მოსალოდნელი, „რატომაც არა? ბურთი ხომ მრგვალია. იღბლისა და ღმერთის დახმარებით ჩვენ წარმატების იმედი გვაქვს".

ფერნანდო მორიენტესის აზრით, ჯგუფის პირველ მატჩში ზოგისთვის ფრეც არაა ურიგო შედეგი, მაგრამ: „მოედანზე ფრისთვის არასოდეს გავსულვარ. ესპანეთს ჰყავს გუნდი, რომელმაც მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქროს" — აღნიშნა „ელ მორომ", ხოლო რუსთა კაპიტან სმერტინის თქმით, დღეს მორიენტესი რაულზე ძლიერია და იარცევის შეგირდები სწორედ მონაკოელს უფრთხიან.

## ესპანეთი

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სანტიაგო კანისარესი | ვალენსია | 18.02.69 |
| 13 | დანიელ არანსუბია | ატლეტიკი, ბილბაო | 18.09.79 |
| 23 | იკერ კასილიასი | რეალი, მადრიდი | 20.05.81 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ხუან კაპდევილა | დეპორტივო, ლა კორუნია | 02.03.78 |
| 3 | კარლოს მარჩენა | ვალენსია | 31.01.79 |
| 5 | კარლეს პუიოლი | ბარსელონა | 13.04.78 |
| 6 | ივან ელგერა | რეალი, მადრიდი | 28.03.75 |
| 12 | გაბრი გარსია | ბარსელონა | 10.02.79 |
| 15 | რაულ ბრავო | რეალი, მადრიდი | 14.04.81 |
| 18 | მარტინ სესარი | დეპორტივო, ლა კორუნია | 03.04.77 |
| 22 | ივან ხუანიტო | ბეტისი, სევილია | 23.07.76 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | დავიდ ალბელდა | ვალენსია | 01.09.77 |
| 8 | რუბენ ბარახა | ვალენსია | 11.07.75 |
| 14 | ვისენტე როდრიგესი | ვალენსია | 16.07.81 |
| 16 | ხაბი ალონსო | სოსიედადი, სან სებასტიანი | 25.11.81 |
| 17 | ხოსება ეჩებერია | ატლეტიკი, ბილბაო | 05.09.77 |
| 19 | ხოაკინ სანჩესი | ბეტისი, სევილია | 21.07.81 |
| 20 | ხავი ერნანდესი | ბარსელონა | 25.01.80 |
| 21 | ხუან კარლოს ვალერონი | დეპორტივო, ლა კორუნია | 17.06.75 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | რაულ გონსალესი | რეალი, მადრიდი | 27.06.77 |
| 9 | ფერნანდო ტორესი | ატლეტიკო, მადრიდი | 20.03.84 |
| 10 | ფერნანდო მორიენტესი | მონაკო, საფრანგეთი | 05.04.76 |
| 11 | ალბერტ ლუკე | დეპორტივო, ლა კორუნია | 11.03.78 |

მწვრთნელი: ინაკი საესი

## რუსეთი

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სერგეი ოვჩინიკოვი | ლოკომოტივი, მოსკოვი | 10.11.70 |
| 12 | ვიაჩესლავ მალაფეევი | ზენიტი, სანკტ პეტერბურგი | 04.03.79 |
| 23 | იგორ აკინფეევი | ცსკა, მოსკოვი | 08.04.86 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 | რომან შარონოვი | რუბინი, ყაზანი | 08.02.76 |
| 14 | ალექსანდრ ანიუკოვი | კრილია სოვეტოვი, სამარა | 28.09.82 |
| 16 | ვადიმ ევსეევი | ლოკომოტივი, მოსკოვი | 08.01.76 |
| 17 | დმიტრი სენიკოვი | ლოკომოტივი, მოსკოვი | 24.06.76 |
| 21 | ალექსეი ბუგაევი | ტორპედო, მოსკოვი | 25.08.81 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ვლადისლავ რადიმოვი | ზენიტი, სანკტ პეტერბურგი | 26.11.75 |
| 4 | ალექსეი სმერტინი | პორტსმუთი, ინგლისი | 01.05.75 |
| 5 | ანდრეი კარიაკა | კრილია სოვეტოვი, სამარა | 01.04.78 |
| 6 | იგორ სემშოვი | ტორპედო, მოსკოვი | 06.04.78 |
| 7 | მარატ იზმაილოვი | ლოკომოტივი, მოსკოვი | 21.09.82 |
| 8 | როლან გუსევი | ცსკა, მოსკოვი | 17.09.77 |
| 10 | ალექსანდრ მოსტოვოი | სელტა, ესპანეთი | 22.08.68 |
| 15 | დმიტრი ალენიჩევი | პორტუ, პორტუგალია | 20.10.72 |
| 19 | ვლადიმირ ბისტროვი | ზენიტი, სანკტ პეტერბურგი | 31.01.84 |
| 20 | დმიტრი ლოსკოვი | ლოკომოტივი, მოსკოვი | 12.02.74 |
| 22 | ევგენი ალდონინი | ცსკა, მოსკოვი | 22.01.80 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | დმიტრი სიჩოვი | ლოკომოტივი, მოსკოვი | 26.10.83 |
| 9 | დმიტრი ბულიკინი | დინამო, მოსკოვი | 20.11.79 |
| 11 | ალექსანდრ კერჟაკოვი | ზენიტი, სანკტ პეტერბურგი | 27.11.82 |
| 18 | დმიტრი კირიჩენკო | ცსკა, მოსკოვი | 17.01.77 |

მწვრთნელი: გეორგი იარცევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევრო 2004. B ჯგუფი

## საფრანგეთი

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მიკაელ ლანდრო | ნანტი | 14.05.79 |
| 16 | ფაბიენ ბარტეზი | ოლიმპიკი, მარსელი | 28.06.71 |
| 23 | გრეგორი კუპე | ლიონი | 31.12.72 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ჟან-ალენ ბუმსონგი | ოსერი | 14.12.79 |
| 3 | ბიქსენტ ლიზარაზუ | ბაიერნი, გერმანია | 09.12.69 |
| 5 | უილიამ გალასი | ჩელსი, ინგლისი | 17.08.77 |
| 8 | მარსელ დესაი | ჩელსი, ინგლისი | 07.09.68 |
| 13 | მიკაელ სილვესტრი | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი | 09.08.77 |
| 15 | ლილიან ტურამი | იუვენტუსი, იტალია | 01.01.72 |
| 19 | ვილი სანიოლი | ბაიერნი, გერმანია | 18.03.77 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | პატრიკ ვიეირა | არსენალი, ინგლისი | 23.06.76 |
| 6 | კლოდ მაკელელე | ჩელსი, ინგლისი | 18.02.73 |
| 7 | რობერ პირესი | არსენალი, ინგლისი | 29.01.73 |
| 10 | ზინედინ ზიდანი | რეალი, ესპანეთი | 23.06.72 |
| 11 | სილვენ ვილტორდი | არსენალი, ინგლისი | 10.05.74 |
| 14 | ჟერომ როტენი | მონაკო | 31.03.78 |
| 17 | ოლივიე დაკური | რომა, იტალია | 25.09.74 |
| 18 | ბენუა პედრეტი | სოშო | 12.11.80 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | ლუი საჰა | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი | 08.08.78 |
| 12 | ტიერი ანრი | არსენალი, ინგლისი | 17.08.77 |
| 20 | დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი, იტალია | 15.10.77 |
| 21 | სტივ მარლე | ოლიმპიკი, მარსელი | 10.01.74 |
| 22 | სიდნეი გოვუ | ლიონი | 27.07.79 |

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

## ინგლისი

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | დევიდ ჯეიმსი | მანჩესტერ სიტი | 01.08.70 |
| 13 | პოლ რობინსონი | ტოტენჰემ ჰოთსპური, ლონდონი | 15.10.79 |
| 22 | იან უოქერი | ლესტერ სიტი | 31.10.71 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | გარი ნევილი | მანჩესტერ იუნაიტედი | 18.02.75 |
| 3 | ეშლი კოული | არსენალი, ლონდონი | 20.12.80 |
| 5 | ჯონ ტერი | ჩელსი, ლონდონი | 07.12.80 |
| 6 | სოლ კემპბელი | არსენალი, ლონდონი | 18.09.74 |
| 12 | უეინ ბრიჯი | ჩელსი, ლონდონი | 05.08.80 |
| 14 | ფილ ნევილი | მანჩესტერ იუნაიტედი | 21.01.77 |
| 15 | ლედლი კინგი | ტოტენჰემ ჰოთსპური, ლონდონი | 10.12.80 |
| 16 | ჯეიმი კარაგერი | ლივერპული | 28.01.78 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | სტივენ ჯერარდი | ლივერპული | 30.05.80 |
| 7 | დევიდ ბექემი | რეალი, ესპანეთი | 02.05.75 |
| 8 | პოლ სქოულზი | მანჩესტერ იუნაიტედი | 16.11.74 |
| 11 | ფრენკ ლამპარდი | ჩელსი, ლონდონი | 20.06.78 |
| 17 | ნიკი ბათი | მანჩესტერ იუნაიტედი | 21.01.75 |
| 18 | ოუენ ჰარგრივსი | ბაიერნი, გერმანია | 20.01.81 |
| 19 | ჯო კოული | ჩელსი, ლონდონი | 08.11.81 |
| 20 | კირონ დაიერი | ნიუკასლ იუნაიტედი | 29.12.78 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | უეინ რუნი | ევერტონი, ლივერპული | 24.10.85 |
| 10 | მაიკლ ოუენი | ლივერპული | 14.12.79 |
| 21 | ემილ ჰესკი | ბირმინგემ სიტი | 11.01.78 |
| 23 | დარიუს ვასელი | ასტონ ვილა, ბირმინგემი | 13.06.80 |

მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი

# რამდენს ლაპარაკობენ ეს ფრანგები?!

ინგლისელი ნახევარმცველი, პოლ სქოულზი მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს, ხოლო „იუნაიტედი“ ინგლისის ჩემპიონატში „არსენალის“ მთავარი კონკურენტი და მოქიშპეა. რატომ ვთქვით ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ „არსენალში“ საფრანგეთის ნაკრების ბევრი წევრი თამაშობს, ინგლისი და საფრანგეთი კი ხვალ ერთმანეთს ხვდებიან.

„ფრანგები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ — გაღიზიანებულა სქოულზი — ჩვენ მათ არ ვგევართ. ამასთან, მრჩება შთაბეჭდილება, რომ არსენალელი ფრანგები უბრალოდ ტრაბახა ხალხია. ამასწინათ პირესის ნათქვამი წავიკითხე, ინგლისელებს 3:1-ს მოვუგებთო. ეს ჭკუის სწავლებისთვის განმაწყობს. თუმცა ახლა ლაპარაკს აზრი არ აქვს, ყველაზე სასიამოვნო მატჩის შემდეგ საუბარი იქნება. მთავარია, მოედანზე გადაწყდეს ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ“.

სხვათა შორის, სქოულზი კლუბში ნახევარდაცვის შუაში თამაშობს, ნაკრებში კი სვენ გორან ერიკსონს მარცხნივ ჰყავს გაწეული, რადგან ცენტრში სტივენ ჯერარდი და ფრენკ ლამპარდი უფრო მოსწონს.

„მათამაშონ და სულერთია სად, რა ამპლუაში — ამბობს ინგლისელი — სადღაც დაწერეს, სქოულზი მარცხენა ფრთაზე თამაშს ვერ იტანსო, მაგრამ ეს ტყუილია“.

და სანამ სქოულზი ჟურნალისტებთან საუბრობს, ჯონ ტერი ორთავა კუნთის დროულ მოშუშებაზე ოცნებობს. ერიკსონს ნათქვამი ჰქონდა, ამ მცველს პარასკევს სრულყოფილად ვავარჯიშებ, ხოლო კვირას ფრანგების წინააღმდეგ ვათამაშებო, მაგრამ ტერიმ გუშინ სრულყოფილად ვარჯიში ვერ შეძლო. სავარაუდოდ, ტერის ფუნქციას ჯეიმი კარაგერი შეასრულებს.

„სიამოვნებით ვითამაშებ, თუმცა ვადასტურებ, რომ ტერი ძალიან დიდი დანაკლისია. ვიმედოვნებ, რომ იგი რაც შეიძლება ჩქარა გამოჯანმრთელდება და თუ ასე მოხდება, მე ისევ სკამზე დავბრუნდები“ — განაცხადა კარაგერმა.

ფრანგთა შორის კი ასეთი ამბავია: 35 წლის, ლურჯი მაისურით 115-ჯერ ნათამაშები მცველი მარსელ დესაი გაუგებრობაშია, არ იცის, ინგლისელების წინააღმდეგ ათამაშებენ თუ უკრაინელებთან ამხანაგური შეხვედრის მსგავსად მიკაელ სილვესტრისა და ლილიან ტურამის წყვილის ცქერა მოუწევს სათადარიგოთა სკამიდან.

„დესაისგან ბევრი ვისწავლე“ — აი, მხოლოდ ეს თქვა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ.



სვენ გორან ერიკსონს პოლ სქოულზი ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე ურჩევნია

ინგლისური „ფულემის“ ყოფილ თავდამსხმელს, დღეს „იუნაიტედში“ სქოულზის თანაგუნდელ ლუი საჰას კი ინგლისელთა წინააღმდეგ ნამდვილად არ ათამაშებენ, თუმცა შეცვლაზე ნებისმიერ წამს შეიძლება შეუშვან. ბოლო სამი თვეა, საჰას ფეხი აწუხებს და როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გრძნობს ნარჩენ ტკივილს, ხოლო ფრანგთა ძირითად შემადგენლობაში კოჭმოშუშებული იუვენტუსელი დავიდ ტრეზეგე ითამაშებს.

ამავე ჯგუფის კიდევ ერთი გუნდის, ხორვატიის მეკარე, სტიპე პლეტიკოშა კი შვეიცარიელებთან არ იქნება პირველ შეხვედრაში, მან ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი იტკინა სერიოზულად — 25 წლის პლეტიკოშამ შუა ვარჯიშისას მწვავე ტკივილი იგრძნო. როგორც ამბობენ, მისი შემცვლელის ვინაობა ჯერ უცნობია. ეს შეიძლება იყოს ტომისლავ ბუტინაცა და ჯო დიდულიცაც.

## შვეიცარია

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | იორგ შტილი | მიონხენგლადბახი, გერმანია | 03.03.68 |
| 12 | პასკალ ცუბერბიულერი | ბაზელი | 08.01.71 |
| 23 | ფაბრის ბორერი | გრასჰოპერი, ციურიხი | 24.12.71 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ბერნტ ჰაასი | ვესტ ბრომვიჩ ალბიონი, ინგლისი | 08.04.78 |
| 3 | ბრუნო ბერნერი | ფრაიბურგი, გერმანია | 21.11.77 |
| 4 | სტეფან ანშო | ლივერპული, ინგლისი | 07.09.74 |
| 5 | მურატ იაკინი | ბაზელი | 15.09.74 |
| 13 | მარკო ცვისიგი | ბაზელი | 24.10.71 |
| 14 | ლუდოვიკ მანინი | ვერდერი, გერმანია | 20.04.79 |
| 17 | კრისტოფ შპიხერი | გრასჰოპერი, ციურიხი | 30.03.78 |
| 20 | პატრიკ მიულერი | ლიონი, საფრანგეთი | 17.12.76 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | იოჰან ფოგელი | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია | 08.03.77 |
| 7 | რიკარდო კაბანასი | გრასჰოპერი, ციურიხი | 17.01.79 |
| 8 | რაფაელ ვიკი | ჰამბურგი, გერმანია | 26.04.77 |
| 10 | ჰაკან იაკინი | შტუტგარტი, გერმანია | 22.02.77 |
| 16 | ფაბიო სელესტინი | ოლიმპიკი, საფრანგეთი | 31.10.75 |
| 18 | ბენჟამინ ჰუგელი | ბაზელი | 07.07.77 |
| 19 | ტრანკვილო ბარნეტა | სენტ გალენი, ციურიხი | 22.05.85 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | ალექსანდრ ფრეი | რენი, საფრანგეთი | 15.07.79 |
| 11 | სტეფან შაპუიზა | იანგ ბოისი, ბერნი | 28.06.69 |
| 15 | დანიელ გიგაქსი | ციურიხი | 28.08.81 |
| 21 | მილაიმ რამა | თუნი | 29.02.76 |
| 22 | იოჰან ვონლანტენი | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია | 01.02.86 |

მწვრთნელი: იაკობ კუნი

## ხორვატია

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სტიპე პლეტიკოშა | შახტარი, უკრაინა | 08.01.79 |
| 12 | ტომისლავ ბუტინა | ბრიუგე, ბელგია | 30.12.74 |
| 23 | ჯო დიდულიცა | აუსტრია, ავსტრია | 14.10.77 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | მარიო ტოკიჩი | გრაცერი, ავსტრია | 23.07.75 |
| 3 | იოსიპ შიმუნიჩი | ჰერტა, გერმანია | 18.02.78 |
| 4 | სტიეპან ტომაში | ფენერბაჰჩე, თურქეთი | 06.03.76 |
| 5 | იგორ ტუდორი | იუვენტუსი, იტალია | 16.04.78 |
| 6 | ბორის ჟივკოვიჩი | შტუტგარტი, გერმანია | 15.11.75 |
| 13 | დარიო შიმიჩი | მილანი, იტალია | 12.11.75 |
| 14 | მარიო ნერეტლიაკი | ჰაიდუკი, სპლიტი | 03.06.79 |
| 21 | რობერტ კოვაჩი | ბაიერნი, გერმანია | 06.04.74 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | მილან რაპაიჩი | ანკონა, იტალია | 13.08.73 |
| 8 | დარიო სრნა | შახტარი, უკრაინა | 01.05.82 |
| 10 | ნიკო კოვაჩი | ჰერტა, გერმანია | 15.10.71 |
| 15 | იერკო ლეკო | დინამო, უკრაინა | 09.04.80 |
| 16 | მარკო ბაბიჩი | ბაიერი, გერმანია | 28.01.81 |
| 20 | ჯოვანი როსო | მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი | 17.11.72 |
| 22 | ნენად ბიელიცა | კაიზერსლაუტერნი, გერმანია | 20.08.71 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | დადო პრსო | გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია | 05.11.74 |
| 11 | ტომისლავ შოკოტა | ბენფიკა, პორტუგალია | 08.04.77 |
| 17 | ივან კლასნიჩი | ვერდერი, გერმანია | 29.01.80 |
| 18 | ივიცა ოლიჩი | ცსკა, რუსეთი | 14.09.79 |
| 19 | ივიცა მორნარი | პორტსმუთი, ინგლისი | 12.01.74 |

მწვრთნელი: ოტო ბარიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევრო 2004. C ჯგუფი

## შვედეთი

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ანდრეას ისაკსონი | იურგორდენი | 03.10.81 |
| 12 | მაგნუს ჰედმანი | ანკონა, იტალია | 19.03.73 |
| 23 | მაგნუს კილშტედტი | კოპენჰაგენი, დანია | 29.02.72 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ტედი ლუკიჩი | ბაიერი, გერმანია | 15.04.73 |
| 3 | ოლოფ მელბერგი | ასტონ ვილა, ინგლისი | 03.09.77 |
| 4 | იოჰან მიალბი | სელტიკი, შოტლანდია | 09.02.71 |
| 5 | ერიკ ედმანი | ჰერენვენი, ჰოლანდია | 11.11.78 |
| 13 | პეტერ ჰანსონი | ჰერენვენი, ჰოლანდია | 14.12.76 |
| 14 | ალექსანდერ ოსტლუნდი | ჰამარბი | 02.11.78 |
| 15 | ანდრეას იაკობსონი | ბრონდბიუ, დანია | 06.10.72 |
| 22 | ერიკ ვალშტედტი | ჰელსინგბორგი | 16.04.76 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | ტობიას ლინდეროტი | ევერტონი, ინგლისი | 21.04.79 |
| 7 | მიკაელ ნილსონი | ჰალმსტადი | 24.06.78 |
| 8 | ანდერს სვენსონი | საუთჰემპტონი, ინგლისი | 17.07.76 |
| 9 | ფრედერიკ ლიუნგბერგი | არსენალი, ინგლისი | 16.04.77 |
| 16 | კიმ კალსტრიომი | რენი, საფრანგეთი | 24.08.82 |
| 17 | ანდერს ანდერსონი | ბელენენსეში, პორტუგალია | 15.03.74 |
| 19 | პონტუს ფარნერუდი | სტრასბური, საფრანგეთი | 04.06.80 |
| 21 | კრისტიან ვილჰელმსონი | ანდერლეხტი, ბელგია | 08.12.79 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | აიაქსი, ჰოლანდია | 03.10.81 |
| 11 | ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი, შოტლანდია | 20.09.71 |
| 18 | მათიას იონსონი | ბრონდბიუ, დანია | 16.01.74 |
| 20 | მარკუს ოლბოკი | ასტონ ვილა, ინგლისი | 05.07.73 |

მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი

## ბულგარეთი

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ზდრავკო ზდრავკოვი | ლიტექსი, ლოვეჩი | 04.10.70 |
| 12 | სტოიან კოლევი | ცსკა, სოფია | 03.02.76 |
| 23 | დიმიტარ ივანკოვი | ლევსკი, სოფია | 30.10.75 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ვლადიმირ ივანოვი | ლოკომოტივი, პლოვდივი | 06.02.73 |
| 3 | როსელინ კირილოვი | ლიტექსი, ლოვეჩი | 04.01.73 |
| 4 | ივაილო პეტკოვი | ფენერბაჰჩე, თურქეთი | 24.03.76 |
| 5 | ზლატომირ ზაგორჩიჩი | ლიტექსი, ლოვეჩი | 15.06.71 |
| 6 | კირილ კოტევი | ლოკომოტივი, პლოვდივი | 08.04.82 |
| 18 | პრედრაგ პაჟინი | შახტარი, უკრაინა | 14.03.73 |
| 22 | ილიან სტოიანოვი | ლევსკი, სოფია | 20.01.77 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | დანიელ ბორიმიროვი | ლევსკი, სოფია | 15.01.70 |
| 8 | მილენ პეტკოვი | აეკ, საბერძნეთი | 12.01.74 |
| 10 | ველიზარ დიმიტროვი | ცსკა, სოფია | 13.04.79 |
| 13 | გეორგი პეევი | დინამო, უკრაინა | 11.03.79 |
| 14 | გეორგი ჩილიკოვი | ლევსკი, სოფია | 23.08.78 |
| 15 | მარიან ხრისტოვი | კაიზერსლაუტერნი, გერმანია | 29.07.73 |
| 19 | სტილიან პეტროვი | სელტიკი, შოტლანდია | 05.07.79 |
| 21 | ზორან იანკოვიჩი | დალიან შიდი, ჩინეთი | 08.02.79 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | დიმიტარ ბერბატოვი | ბაიერი, გერმანია | 30.01.81 |
| 11 | ზდრავკო ლაზაროვი | გაზიანთეფსფორი, თურქეთი | 20.02.76 |
| 16 | ვლადიმირ მანჩევი | ლილი, საფრანგეთი | 06.10.77 |
| 17 | მარტინ პეტროვი | ვოლფსბურგი, გერმანია | 15.01.79 |
| 20 | ვალერი ბოჟინოვი | ლეჩე, იტალია | 15.02.86 |

მწვრთნელი: პლამენ მარკოვი

# ჟურნალისტებმა იტალია გახლიჩეს

## გრონკიაერი ქელეხისთვის ემზადება

**იტალიის** ნაკრები თითქოს ყოველმხრივ ძლიერი გუნდია, მაგრამ ბოლო დღეებში ერთი დიდი ნაკლი გამოუჩნდა. მაინცდამაინც ერთსულოვანი არ უნდა იყოს. იქ, დელ პიერომ ტოტიზე თქვა, სულ მას რომ აქებთ, მე ვისზე ნაკლები ვარო, აქ გატუზომ მწვრთნელის ტაქტიკას აბსურდული უწოდა და სხვა, თუმცა მდგომარეობა შესაძლოა განიმუხტოს, რასაც, ალბათ, ფეხბურთელთაგან თანამემამულე პრესა-ტელევიზიის ერთსულოვანი ლანძღვა შეუწყობს ხელს. ერთი სიტყვით, იმან ამაზე რომ ის თქვა და ამან იმაზე ეს, ჟურნალისტების ბრალია.

„მთელი გუნდის სახელით ვაცხადებ — თქვა კაპიტანმა ფაბიო კანავარომ — ჩვენ ბოლო დღეებში ვკითხულობდით ცნობებს, რომელთანაც საერთო არაფერი გვაქვს. ჩვენ პატივისცემას ვითხოვთ. კი ბატონო, პრესის განკარგულებაში ვართ, მაგრამ იცოდეთ, აქ რაღაცის შესაქმნელად ვართ შეკრებილნი და არა დასაშლელად. თუ ჟურნალისტებს დახმარება სურთ, ვთხოვთ, დამოკიდებულება შეცვალონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი გავხდებით, მათთან საუბრებზე უარი განვაცხადოთ“.

ფრანჩესკო ტოტი: „ჟურნალისტები ისე იქცევიან, თითქოს ჩვენი გუნდის განადგურება ჰქონდეთ მიზნად დასახული“.

მარკო დი ვაიო: „ჟურნალისტები მსპობენ. მე ალბერტო ჯილარდინოსთვის ადგილი არ მომიპარავს“.

დანიის ნაკრების მოთამაშეს, იესპერ გრონკიაერს კი დედა გარდაეცვალა და, ბუნებრივია, იტალიასთან პირველ შეხვედრაში ვერ ითამაშებს.

როგორც გაზეთი „ექსტრა ბლადეტო“ წერს, მწვრთნელი მორტენ ოლსენი 26 წლის ფეხბურთელთან ყოველდღიურ კავშირში იყო, ბოლოს კი გუნდთან შეერთება მის ნებასურვილზე დატოვა.

ხოლო ბულგარელთა ამბებზე იმის თქმა შეგვიძლია, რომ ცნობილი ვეტერანი, იორდან ლეჩკოვი როგორც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ივან სლავკოვის, ასევე ნაკრების დირექტორის, ივან ვუცოვის გადაგომას ითხოვს.

„დროა ჩვენს ფეხბურთში ახალი სახეები გამოჩნდნენ, სლავკოვი და ვუცოვი კი სპორტიდან რაც შეიძლება შორს უნდა წავიდნენ. სამაგიეროდ, პლამენ მარკოვი ჩინებული მწვრთნელია და პლუს ერთი-ორი უმაღლესი დონის ფეხბურთელიც გვყავს, მაგალითად, ბერბატოვი და სტილიან და მარტინ პეტროვები“.



იესპერ გრონკიაერს ფეხბურთისთვის აღარ სცალია

## დანია

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თომას სორენსენი | ასტონ ვილა, ინგლისი | 12.06.76 |
| 16 | პეტერ სკოვ-იენსენი | მიდტიულანდი | 09.06.71 |
| 22 | სტეფან ანდერსენი | ჩარლტონი, ინგლისი | 26.11.81 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | კასპერ ბოგელუნდი | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია | 08.10.80 |
| 3 | რენე ჰენრიკსენი | პანათინაიკოსი, საბერძნეთი | 27.08.79 |
| 4 | მარტინ ლაურსენი | ასტონ ვილა, ინგლისი | 26.07.77 |
| 5 | ნიკლას იენსენი | ბორუსია, გერმანია | 17.08.74 |
| 6 | თომას ჰელვეგი | ინტერი, იტალია | 24.06.71 |
| 13 | პერ კროლდრუპი | უდინეზე, იტალია | 31.07.79 |
| 18 | ბრაიან პრისკე | გენკი, ბელგია | 14.05.77 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | თომას გრავესენი | ევერტონი, ინგლისი | 11.03.76 |
| 8 | იესპერ გრონკიაერი | ჩელსი, ინგლისი | 18.02.77 |
| 10 | მარტინ იორგენსენი | უდინეზე, იტალია | 06.10.75 |
| 12 | თომას კალენბერგი | ბრონდბიუ, კოპენჰაგენი | 20.03.83 |
| 14 | კლაუს იენსენი | ჩარლტონი, ინგლისი | 29.04.77 |
| 15 | დანიელ იენსენი | მურსია, ესპანეთი | 25.06.79 |
| 17 | კრისტიან პოულსენი | შალკე, გერმანია | 28.02.80 |
| 19 | დენის რომედალი | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია | 22.07.78 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | იონ დალ ტომასონი | მილანი, იტალია | 29.08.76 |
| 11 | ებე სანდი | შალკე, გერმანია | 19.07.72 |
| 20 | კენეტ პერესი | ალკმაარი, ჰოლანდია | 29.08.74 |
| 21 | პეტერ მადსენი | ბოხუმი, გერმანია | 26.04.78 |
| 23 | პეტერ ლოვენკრანდსი | გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია | 29.01.80 |

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

## იტალია

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი, ტურინი | 28.01.78 |
| 12 | ფრანჩესკო ტოლდო | ინტერი, მილანი | 02.12.71 |
| 22 | ანჯელო პერუცი | ლაციო, რომი | 16.02.70 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | კრისტიან პანუჩი | რომა, რომი | 12.04.73 |
| 3 | მასიმო ოდო | ლაციო, რომი | 14.06.76 |
| 5 | ფაბიო კანავარო | ინტერი, მილანი | 13.09.73 |
| 6 | მატეო ფერარი | პარმა | 05.12.79 |
| 13 | ალესანდრო ნესტა | მილანი | 19.03.76 |
| 15 | ჯუზეპე ფავალი | ინტერი, მილანი | 08.01.72 |
| 19 | ჯანლუკა ძამბროტა | იუვენტუსი, ტურინი | 19.02.77 |
| 23 | მარკო მატერაცი | ინტერი, მილანი | 19.08.73 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | კრისტიანო ძანეტი | ინტერი, მილანი | 10.04.77 |
| 8 | ჯენარო გატუზო | მილანი | 09.01.78 |
| 10 | ფრანჩესკო ტოტი | რომა, რომი | 27.09.76 |
| 14 | სტეფანო ფიორე | ლაციო, რომი | 17.04.75 |
| 16 | მაურო კამორანეზი | იუვენტუსი, ტურინი | 04.10.76 |
| 20 | სიმონე პეროტა | კიევო, ვერონა | 17.09.77 |
| 21 | ანდრეა პირლო | მილანი | 19.05.79 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი, ტურინი | 09.11.74 |
| 9 | კრისტიან ვიერი | ინტერი, მილანი | 12.07.73 |
| 11 | ბერნარდო კორადი | ლაციო, რომი | 30.03.76 |
| 17 | მარკო დი ვაიო | იუვენტუსი, ტურინი | 15.07.76 |
| 18 | ანტონიო კასანო | რომა, რომი | 12.07.82 |

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

# ევრო 2004. D ჯგუფი

## ჩეხეთი

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | პეტრ ჩეხი | რენი, საფრანგეთი | 20.05.82 |
| 16 | იარომირ ბლაჟეკი | სპარტა, პრაღა | 29.12.72 |
| 23 | ანტონინ კინსკი | სატურნი, რუსეთი | 31.05.75 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ზდენეკ გრიგერა | აიაქსი, ჰოლანდია | 14.05.80 |
| 3 | პაველ მარეში | ზენიტი, რუსეთი | 18.01.76 |
| 5 | რენე ბოლფი | ბანიკი, ოსტრავა | 25.02.74 |
| 6 | მარეკ იანკულოვსკი | უდინეზე, იტალია | 09.05.77 |
| 13 | მარტინ ჟირანეკი | რეჯინა, იტალია | 25.05.79 |
| 17 | ტომაშ ჰუბშმანი | სპარტა, პრაღა | 04.09.81 |
| 21 | ტომაშ უიფალუში | ჰამბურგი, გერმანია | 24.03.78 |
| 22 | დავიდ როზენალი | ბრიუგე, ბელგია | 05.07.80 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | ტომაშ გალაშეკი | აიაქსი, ჰოლანდია | 15.01.73 |
| 7 | ვლადიმირ შმიცერი | ლივერპული, ინგლისი | 24.05.73 |
| 8 | კარელ პობორსკი | სპარტა, პრაღა | 30.03.72 |
| 10 | ტომაშ როსიცკი | ბორუსია, გერმანია | 04.10.80 |
| 11 | პაველ ნედვედი | იუვენტუსი, იტალია | 30.08.72 |
| 14 | სტეპან ვახოუშეკი | ოლიმპიკი, საფრანგეთი | 26.07.79 |
| 19 | რომან ტისი | მიუნხენ 1860, გერმანია | 07.05.77 |
| 20 | იაროსლავ პლასილი | მონაკო, საფრანგეთი | 05.01.82 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | იან კოლერი | ბორუსია, გერმანია | 30.03.73 |
| 12 | ვრატისლავ ლოკვენცი | კაიზერსლაუტერნი, გერმანია | 27.09.73 |
| 15 | მილან ბაროში | ლივერპული, ინგლისი | 28.10.81 |
| 18 | მარეკ ჰაინცი | ბანიკი, ოსტრავა | 04.08.77 |

მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი

## ლატვია

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრს კოლინკო | როსტოვი, რუსეთი | 18.06.75 |
| 12 | ანდრეის პიედელსი | სკონტო, რიგა | 17.09.70 |
| 20 | ანდრეის პავლოვსი | სკონტო, რიგა | 22.02.79 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | იგორს სტეპანოვსი | ბევერენი, ბელგია | 21.01.76 |
| 4 | მიხაილს ზემლინსკისი | სკონტო, რიგა | 21.12.69 |
| 6 | ოლეგს ბლაგონადეჟდინსი | სკონტო, რიგა | 16.05.73 |
| 7 | ალექსანდრს ისაკოვსი | სკონტო, რიგა | 16.09.76 |
| 15 | მარის სმირნოვსი | ვენტსპილსი, რიგა | 02.06.76 |
| 16 | ძინტარს ზირნისი | მეტალურგსი, ლიეპაია | 25.04.77 |
| 18 | იგორს კორაბლიოვსი | ვენტსპილსი, რიგა | 23.11.74 |
| 22 | არტურს ზაკრეშევსკისი | სკონტო, რიგა | 07.08.71 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | ვიტალის ასტაფიევსი | ადმირა ვაკერი, ავსტრია | 03.04.71 |
| 5 | იურის ლაიზანსი | ცსკა, რუსეთი | 06.01.79 |
| 8 | იმანტს ბლეიდელისი | ვიბორგი, დანია | 16.08.75 |
| 10 | ანდრეის რუბინსი | შინიკი, რუსეთი | 26.11.78 |
| 13 | იურგის პუცინსკსი | ლუჩ-ენერგია, რუსეთი | 01.03.73 |
| 14 | ვალენტინს ლობანიოვსი | მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა | 23.10.71 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | მარის ვერპაკოვსკისი | დინამო, უკრაინა | 15.10.79 |
| 11 | ანდრეის პროხორენკოვსი | მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი | 05.02.77 |
| 17 | მარიანს პახარსი | საუთჰემპტონი, ინგლისი | 05.08.76 |
| 19 | ანდრეის შტოლცერსი | ფულემი, ინგლისი | 07.07.74 |
| 21 | მიხაილს მიხოლაპსი | სკონტო, რიგა | 24.08.74 |
| 23 | ვიტალის რიმკუსი | ვენტსპილსი, რიგა | 21.06.73 |

მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი

# წყალი სექსის ნაცვლად



რუდი ფიოლერი

**რუდი ფიოლერი** სხვა მწვრთნელებისგან განსხვავებით ნაკლებს ლაპარაკობს. გუშინ მან მოკლე შეტყობინება გაუგზავნა მეტოქეებს: „ვიცით, რას ფიქრობენ მოწინაალმდეგეები გერმანიაზე და რასაც ფიქრობენ — მართალია. რუმინეთთან და უნგრეთთან ამხანაგურ მატჩებში მარცხის მიუხედავად, ფავორიტობიდან ვერ ჩამოგვწერენ. ჩვენი უტეხი მებრძოლი სულის გამო ნებისმიერ შეჯიბრში პირველობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატები ვართ“.

ბუნდესნაკრების ექიმმა ტიმ მეიერმა ფეხბურთელებს სთხოვა, თამაშების წინ სექსს ნუ მიეძალებითო და სამაგიეროდ... ბევრი წყლის სმა შესთავაზა.

„მიმაჩნია, რომ სექსი მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე ბიჭებს გამოფიტავს. ცხადია, სიგარეტი და ალკოჰოლური სასმელიც მავნეა, მაგრამ თითოეულ ფეხბურთელის გასაკონტროლებლად მცველებს ვერ დავიქირავებთ. თავად უნდა იზრუნონ საკუთარ ფორმაზე“.

ჰოლანდიელთა მწვრთნელმა, დიკ ადვოკაატმა კი განაცხადა, რუუდ ვან ნისტელროოი გერმანელებთან აუცილებლად ითამაშებსო: „მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ უძლიერესია. ოთხი თავდამსხმელი მყავს, მაგრამ რუუდი ვარჯიშებზე გამორჩეული იყო. ამიტომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს, დანარჩენებს კი შრომა მოუწევთ“.

ჩეხთა მწვრთნელის თანაშემწე მიროსლავ ბარანეკი უხასიათობას არ უჩივის, რადგან 23-ე ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავს. აი, რას ამბობს იგი: „ლატვია უცნობია ჩვენთვის, მაგრამ რადგან ევროპის ჩემპიონატზე მოხვდა, ეს ნიშნავს, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა. კარგი იქნება, თუ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს ქულებს აართმევს. რაც შეეხება ჰოლანდიელებს, ტექნიკურები არიან, გერმანია კი, როგორც ყოველთვის, კარგად გამართული მანქანაა“.

ვლადიმირ შმიცერმა ჩემპიონობის გეგმა წარმოადგინა: „მხოლოდ ოთხი მატჩის მოგებაა საჭირო. ლატვიას დავამარცხებთ, გერმანიასთან და ჰოლანდიასთან ქულებს გავიყოფთ, შემდეგ კი მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში გავიმარჯვებთ“.



რუუდ ვან ნისტელროოი

## გერმანია

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლივერ კანი | ბაიერნი, მიუნხენი | 15.06.69 |
| 12 | იენს ლემანი | არსენალი, ინგლისი | 10.11.69 |
| 23 | ტიმო ჰილდებრანდი | შტუტგარტი | 05.04.79 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ანდრეას ჰინკელი | შტუტგარტი | 26.03.82 |
| 3 | არნე ფრიდრიხი | ჰერტა, ბერლინი | 29.05.79 |
| 4 | კრისტიან ვიორნსი | ბორუსია, დორტმუნდი | 10.05.72 |
| 5 | იენს ნოვოტნი | ბაიერი, ლევერკუზენი | 11.01.74 |
| 6 | ფრანკ ბაუმანი | ვერდერი, ბრემენი | 29.10.75 |
| 17 | კრისტიან ციგე | ბორუსია, მიონხენგლადბახი | 01.02.72 |
| 21 | ფილიპ ლამი | შტუტგარტი | 11.11.83 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | ბასტიან შვაინსტაიგერი | ბაიერნი, მიუნხენი | 01.08.84 |
| 8 | დიტმარ ჰამანი | ლივერპული, ინგლისი | 27.08.73 |
| 13 | მიხაელ ბალაკი | ბაიერნი, მიუნხენი | 26.09.76 |
| 15 | სებასტიან კელი | ბორუსია, დორტმუნდი | 13.02.80 |
| 16 | იენს იერემისი | ბაიერნი, მიუნხენი | 05.03.73 |
| 18 | ფაბიან ერნსტი | ვერდერი, ბრემენი | 30.05.79 |
| 19 | ბერნდ შნაიდერი | ბაიერი, ლევერკუზენი | 17.11.73 |
| 22 | ტორსტენ ფრინგსი | ბორუსია, დორტმუნდი | 22.11.76 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | ფრედი ბობიჩი | ჰერტა, ბერლინი | 30.10.71 |
| 10 | კევინ კურანი | შტუტგარტი | 02.03.82 |
| 11 | მიროსლავ კლოზე | კაიზერსლაუტერნი | 09.06.78 |
| 14 | თომას ბრდარიჩი | ჰანოვერ 96 | 23.01.75 |
| 20 | ლუკაშ პოდოლსკი | კიოლნი | 04.06.85 |

მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

## ჰოლანდია

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ედვინ ვან დერ სარი | ფულემი, ინგლისი | 29.10.70 |
| 13 | რონალდ ვატერეუსი | პსვ ეინდჰოვენი | 25.08.70 |
| 23 | სანდერ ვესტერფელდი | სოსიედადი, ესპანეთი | 23.10.74 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | მიხაელ რაიციგერი | ბარსელონა, ესპანეთი | 03.05.73 |
| 3 | იაპ სტამი | მილანი, იტალია | 17.07.72 |
| 4 | უილფრედ ბუმა | პსვ ეინდჰოვენი | 15.06.78 |
| 5 | ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | ბარსელონა, ესპანეთი | 05.02.75 |
| 15 | ფრანკ დე ბური | გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია | 15.05.70 |
| 18 | ჯონი ჰეიტინგა | აიაქსი, ამსტერდამი | 15.11.83 |
| 22 | ბუდევინ ზენდენი | მიდლსბრო, ინგლისი | 15.08.76 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | ფილიპ კოკუ | პსვ ეინდჰოვენი | 29.10.70 |
| 7 | ანდი ვან დერ მეიდე | ინტერი, იტალია | 30.09.79 |
| 8 | ედგარ დავიდსი | ბარსელონა, ესპანეთი | 13.03.73 |
| 11 | რაფაელ ვან დერ ვაარტი | აიაქსი, ამსტერდამი | 11.02.83 |
| 14 | უესლი სნეიდერი | აიაქსი, ამსტერდამი | 09.06.84 |
| 16 | მარკ ოვერმარსი | ბარსელონა, ესპანეთი | 29.03.73 |
| 19 | არიენ რობენი | ჩელსი, ინგლისი | 23.01.84 |
| 20 | კლარენს ზეედორფი | მილანი, იტალია | 01.04.76 |
| 21 | პოლ ბოსველტი | მანჩესტერ სიტი, ინგლისი | 26.03.70 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | პატრიკ კლუივერტი | ბარსელონა, ესპანეთი | 01.07.76 |
| 10 | რუუდ ვან ნისტელროოი | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი | 01.07.76 |
| 12 | როი მაკაი | ბაიერნი, გერმანია | 09.03.75 |
| 17 | პიერ ვან ჰოიდონკი | ფენერბაჰჩე, თურქეთი | 29.11.69 |

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზიდანი სიამოვნების წუთებს ითვლის



*ფრანგული და მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი ეგებ ევრო 2004-ის დარ დიდ ტურნირზე ეროვნული ნაკრების მაისურით ამის მერე ველარც ვიხილოთ. ამიტომ ზიზუ პორტუგალიურ სტადიონებზე გატარებული ყოველი წუთით დატკბობას აპირებს. გარდა ამისა, ზიდანს საკუთარ საფეხბურთო ბედთან თავისებური რევანშის აღებაც სწადია — პრიმერას გასულ სეზონში მისმა „რეალმა" ვერაფერი მოიგო და ახლა ევროპის ჩემპიონატის მოგებას ლამობს. ზიდანს მადრიდული „ასი" ესაუბრა.*

— ევრო 2004-ზე პირველი მატჩი ინგლისთან გიწევთ...

— რთული შეხვედრა გველის, ინგლისს ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. ჩვენთვის კი შეიძლება უკეთესიც იყოს, ინგლისით რომ ვიწყებთ — ჩემპიონატის დაწყებისთანავე ევროპას საფრანგეთის ნაკრების ძალას ვაჩვენებთ.

— მთელი ყურადღება ზიდანისა და ბექჰემის დაპირისპირებაზეა გადატანილი...

— რაც მადრიდის „რეალში" ერთად ვთამაშობთ, ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იქნება. მე ლამაზ დუელს გპირდებით. წარმოუდგენელია, საფრანგეთსა და ინგლისს შორის მატჩი სანახაობრივად უხარისხო გამოდგეს. განსაკუთრებით ინგლისელთა ნახევარდაცვა მომწონს, ბექჰემის გარდა პოლ სქოულზსაც გამოვარჩევდი.

— **ბევრის აზრით მატჩი ფრედ დასრულდება...**

— საფრანგეთის ნაკრები მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გადის, მით უმეტეს, ამ მატჩის წაგება არაფრით შეიძლება, ჯგუფური ეტაპიდან გასვლაში შეგვაფერხებს.

— **ანუ ერთმა წაგებულმა თამაშმა შეიძლება ფრანგთა ბედი გადაწყვიტოს?**

— მეოთხედფინალამდე მიღწევას ალბათ მაინც მოვახერხებთ, თუმც, ცხადია, ჩემპიონატის პირველი მატჩის მოგება უკეთესია, ვიდრე წაგება ან თუნდაც ფრე.

— **უკრაინასთან ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩს როგორ შეაფასებთ?**

— გამარჯვება გაგვიჭირდა, მაგრამ მეტოქეზე ჩვენი უპირატესობა აშკარად თვალში საცემი იყო.

— **ევრო 2004-ის არბიტრთა შესახებ რას ფიქრობთ?**

— ალბათ მსაჯობა ზომიერად მკაცრი იქნება, რაც ფეხბურთელებისთვისაც სასარგებლოა და თამაშის ხარისხსაც აამაღლებს.

— **ევროპის ჩემპიონატი თქვენი ბოლო დიდი ტურნირია?**

— შეიძლება ასეც იყოს. ამიტომაც ვეცდები, პორტუგალიში ყოველი წუთით ვისიამოვნო.

— **ესპანეთის ნაკრებზეც გვითხარით...**

— ამ ჩემპიონატის მოგება შეუძლია. ესპანეთს ახლა ყველაზე ხელსაყრელი დრო უდგას...

— **ინაკი საესის შეგირდებს მეოთხედფინალში მეტოქედ ისურვედით?**

— მეოთხედფინალში არა, ფინალში კი მათ წინააღმდეგ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

# თუ მოვლენ, არ წავალ

## ტოტის კარგ რომას შეპირდნენ



*ფრანჩესკო ტოტიმ, შესაძლოა, „მილანს" მიაშუროს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მას „რომას" სატრანსფერო კამპანია არ მოეწონება.*

„მე ნათქვამი მაქვს, რომ ჩემს ბედს 4 ივლისის შემდეგ გადავწყვეტ — განაცხადა ვარსკვლავმა პორტუგალიაში, ნაკრების ბაზაზე — ქომაგებს კი შეუძლიათ, მშვიდად იყონ. კლუბმა ხუთი თუ ექვსი შენაძენის ამბავი მითხრა და ჯერჯერობით ყველაფერი მომწონს. თუ ეს ფეხბურთელები მართლა ჩამოვლენ, მაშინ დავრჩები, ხოლო თუ ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდება, თავს მოტყუებულად ვიგრძნობ და თავს „რომას" წინაშე მოვალედ აღარ ვიგრძნობ".

კითხვაზე, თავად ხომ არ შეუთავაზებია კლუბისთვის ვინმე, ტოტიმ უპასუხა:

„ვიმეორებ, კლუბთან მუდმივ კონტაქტში ვარ და ჯერჯერობით ჩემს აზრს რომ ითვალისწინებენ, მსიამოვნებს, ჯილარდინო? იმედი მაქვ, მართლა ჩამოვა".

„რომას" კაპიტანს შეახსენეს, რომ სულ რაღაც ათი დღის წინ კატეგორიულად აცხადებდა, თუ სადმე წავალ, მხოლოდ „რეალში", რადგან მისი მაშინდელი აზრით იტალიურ კლუბში გადასვლა „რომას" წინააღმდეგ გამოსვლას ნიშნავდა, ახლა კი „მილანით" იმუქრება.

„მზად ვარ, გავიმეორო რაც მაშინ ვთქვი, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. არასოდეს უნდა თქვა არასოდეს". — მიუგო ტოტიმ სრულიად გაუგებარი რამ.

და ბოლოს, ემერსონის „რომადან" „იუვენტუსში" გადასვლაზე ჰკითხეს.

„ემერსონის ამბავი არ მადარდებს. მე მხოლოდ ის მაინტერესებს, ვის იყიდის „რომა".

**ბაჩუნა ძიდია**

# გაცვლა

## ვიერის რეალი, მორიენტესს ინტერი





**მაჰანმა** ფიფას აგენტმა განაცხადა, რომ „რეალი" და „ინტერი" ფერნანდო მორიენტესისა და კრისტიან ვიერის გაცვლაზე შეთანხმდნენ.

„ჩვენ რამდენჯერმე უკვე შევხვდით „ინტერის" წარმომადგენლებს, რათა ვიერის „რეალში" გამოშვებაზე გვესაუბრა — დაწერა აგენტმა პეპინო ტირიმ ერთ-ერთ საინტერნეტო ვებ-გვერდზე — ძირითადი შეთანხმება უკვე მიღწეულია, ამ გაცვლას ეთანხმება ორივე კლუბი და ვიერი, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით, როდის მოხდება ეს ყველაფერი, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დეტალები დასამუშავებელი".

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში „ინტერის" დირექტორმა, მარკო ბრანკამ განაცხადა, ვიერის თაობაზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ მიმიღიაო, მაგრამ ის, რომ „ინტერი" და „რეალი" რაღაცას ჩურჩულებენ, სხვა წყაროებმაც დაადასტურეს.

თუ ვიერი „რეალში" გადავა, ეს იქნება მისი დაბრუნება ესპანეთში, სადაც „ატლეტიკოს" შემადგენლობაში ადრე თამაშობდა.

**ბაჩუნა ძიდია**

Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004

ნახევარფინალი. პირველი მატჩი

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 1:0 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

1:0 სკიავი (28)

გაძევება: კასკინი (32, ბოკა ხუნიორსი), გალიარდო (32, რივერ პლეიტი), გარსე (42, რივერ პლეიტი)

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. აზია

III ტური

VI ჯგუფი

**სირია 2:1 ტაჯიკეთი**

0:1 ხოლმატოვი (34), 1:1 ალ რაშიდი (69), 2:1 ალ რაშედი (80)

## მექსიკა

კლაუსურა

პლეი ოფი

ფინალი. პირველი მატჩი

**გვადალახარა 1:0 უნამი**

*საპასუხო მატჩი ხვალ გაიმართება*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## უკრაინა

პრემიერლიგა. XXVIII ტური

არსენალი — დინამო 1:6; შახტარი — ბორისფენი 1:0; დნიპრო — ზირკა 1:0; კრივბასი — ობოლონი 1:0; ჩერნომორეცი — ილიჩევეცი 2:1; ვოლინი — მეტალურგი (დ) 1:3; მეტალურგი (ზ) — კარპატი 2:0; ტავრია — ვორსკლა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 21 | 4 | 3 | 62:18 | 67 |
| შახტარი | 28 | 20 | 4 | 4 | 54:19 | 64 |
| დნიპრო | 28 | 16 | 8 | 4 | 44:22 | 56 |
| მეტალურგი (დ) | 28 | 13 | 9 | 6 | 47:32 | 48 |
| ჩერნომორეცი | 28 | 11 | 12 | 5 | 36:27 | 45 |
| ილიჩევეცი | 28 | 9 | 10 | 9 | 32:35 | 37 |
| ობოლონი | 28 | 9 | 8 | 11 | 29:34 | 35 |
| ბორისფენი | 28 | 9 | 8 | 11 | 23:29 | 35 |
| არსენალი | 28 | 9 | 7 | 12 | 34:40 | 34 |
| კრივბასი | 28 | 9 | 6 | 13 | 25:39 | 33 |
| მეტალურგი (ზ) | 28 | 8 | 8 | 12 | 26:34 | 32 |
| ვოლინი | 28 | 7 | 8 | 13 | 25:40 | 29 |
| ტავრია | 28 | 6 | 10 | 12 | 20:27 | 28 |
| ვორსკლა | 28 | 6 | 9 | 13 | 25:42 | 27 |
| კარპატი | 28 | 5 | 7 | 16 | 20:39 | 22 |
| ზირკა | 28 | 3 | 8 | 17 | 15:39 | 14 |

*„ზირკას" დაკლებული აქვს 3 ქულა*



სადისციპლინო კომიტეტს „ვიტ ჯორჯია“ - „სიონის“ გარჩევა გაუგრძელდა

# დისკომმა განაჩინა და განკიცხა

## სიონი საქმეს დერეფანში აპროტესტებს

*გუშინ სადისციპლინო კომიტეტმა გადადებული სხდომა ჩაატარა და 30 მაისის „ოქროს მატჩის“ მოინციდენტო ელემენტებს განაჩენი გამოუტანა — „ვიტ ჯორჯიას“ და „სიონის“ დაპირისპირების ქრონიკა ამით მაინც ვერ დამთავრდა, რალაც-რალაცეები გასარჩევი კიდევ დარჩა*

გუშინდელი სხდომა მატჩის ვიდეოჩანაწერის ყურებით დაიწყო. თუმც სპორტის აკადემიას ელექტროენერგიის მიწოდება დაახლოებით ნახევარი საათით შეუწყდა და დისციპლინარებიც ამად მოცდნენ. ფირის ყურების შემდეგ სადისციპლინო კომიტეტმა დროულად იმსჯელა და ვერდიქტის გასაცნობად სხდომის ოთახში ჟურნალისტები მიგვიწვია.

სხდომის თავმჯდომარე გურამ ძაგანიამ თქვა, რომ განხილვამ საათი და ორმოცი წუთი წაჰგვარა კომიტეტს და შემდეგ განაჩენის შესახებ მოგვახსენა.

ვიტჯორჯიელი რევაზ გოცირიძე ათმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 500 ლარით დაისაჯა ბოლნისელი გულშემატკივრებისთვის უხამსი ჟესტის ჩვენების გამო.

„ოქროს მატჩში“ ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე თამაშის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა და მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 50 ლარის გადახდა აკმარეს.

თემურ მახარაძის სიონელი თანაშემწე გიორგი ყიფშიძე ხუთი თამაშითა და მომავალი სეზონის ბოლომდე პირობითაა დისკვალიფიცირებული. ყიფშიძეს 500 ლარის გადახდაც მოუწევს — ის არბიტრის თანაშემწე გურამ ჩიგოგიძის გალახვაშია ბრალდებული.

მსაჯების ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დაისაჯნენ „სიონის“ ფეხბურთელებიც — ავთანდილ ლაბაძე და აქვსენტი გილაური 10-10 თამაშს გამოტოვებენ და 2500-2500 ლარს გადაიხდიან.

ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა სიონელი შალვა ისიანი, ვინც მეორე ტაიმში თვითნებურად დატოვა მინდორი.

ღიად დარჩა „სიონის“ თავდამსხმელ ელდარ გვასალიას საკითხი. მატჩის ინსპექტორ შოთა ხინჩაგაშვილის პატაკი მსაჯ ლევან მიქელაძის ჩვენებას ეყრდნობა, მაგრამ მიქელაძე სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე არ გამოცხადდა, ხოლო გვასალია სწორედ მასთან სხდომაზე დაპირისპირებას მოითხოვს. სადისციპლინო კომიტეტი გვასალიას მოგვიანებით გამოუტანს განაჩენს.

ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ სადისციპლინო კომიტეტი სამსაჯო კომიტეტს მისდგა. მსაჯთა გაკიცხვაში ყველაზე მეტად კომიტეტის წევრი ზურაბ პეტრიაშვილი აქტიურობდა — ამ საკითხს მიხედვა უნდა, ისეთი ამბები ხდება და იმალება, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება — ასეთი გახლდათ პეტრიაშვილის პოზიცია. ფაქტობრივად, ამავე აზრისა იყო ყველა დისციპლინარი, მათ სამსაჯო კომიტეტს ბუნდოვანი თხოვნით მიმართეს, ვითარება გამოასწორონ.

სხდომის დასრულების შემდეგ აკადემიის დერეფანში გურამ ძაგანიასთან გიორგი ყიფშიძე და ავთანდილ ლაბაძე მივიდნენ, რომლებიც არც წინა სხდომას დასწრებიან და თავმჯდომარეს გახმაურებული მატჩის ვიდეოფირი გადასცეს, ესეც ნახეთ, ამ საქმეში უბრალონი ვართო. ძაგანიამ ყიფშიძეს კასეტა გამოართვა და ფირის ნახვას შეჰპირდა.

**დავით თავართქილაძე**



გურამ ძაგანია გიორგი ყიფშიძეს სკანდალური მატჩის სხვა ფირის ნახვასაც შეჰპირდა



ავთანდილ ლაბაძე (მარცხნივ) ათ თამაშს გამოტოვებს, ელდარ გვასალია კი ჯერაც გაურკვევლობაშია



# დემეტრაძემ კოსირინს მე-17 პენალტი დაურტყა

## გელა შეყილაძეს არსენალი დაუბომბეს

ხუთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, გუშინწინ, კიევის „დინამოსთან“ მატჩში „არსენალს“ გელა შეყილაძე დაუბრუნდა. საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი აქამდე ტრავმის გამო ვერ ეხმარებოდა გუნდს და თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. შეყილაძეს თამაშის ნება ორიოდ თვის წინაც დართეს, თუმც ტკივილებმა ისევ შეაწუხა და...

„არსენალმა“ 1:6 წააგო „დინამოსთან“, შეყილაძემ სრულად ითამაშა, დინამოელებმა კი ამ მოგებით მოზრდილი ნაბიჯი გადადგეს ჩემპიონობისკენ.

ტური იღბლიანი გამოდგა დონეცკელი ქართველებისთვის. გოჩა ჯამარაულისა და გიორგი დემეტრაძის „მეტალურგმა“ 3:1 მოუგო სტუმრად „ვოლინს“. უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირმა დემეტრაძემ კი 34-ე წუთზე მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტით მესამედ დაამწუხრა მასპინძლები.

ეს გოლი დემეტრაძისთვის მეჩვიდმეტეა მიმდინარე სეზონში და, შეიძლება ითქვას, ჩვენებურმა ბომბარდირობა გაინაღდა: ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე 5 ბურთით უსწრებს ჩერნომორეცელ კოსირინს.

გაჭირვების ჟამს გაილაღა „ბებერმა“ ზურაბ იონანიძემ. პირველ წრეში სიმფეროპოლის „ტავრიას“ ლიდერად შეგულებულმა ექსტორპედოელმა ახლახანღა დაიბრუნა ძირითადში თვეების წინ დაკარგული ადგილი და მნიშვნელოვანი გოლითაც შეეწია გუნდს. „იონას“ გოლმა „ტავრია“ ფაქტობრივად უმაღლეს ლიგაში დატოვა. „ვორსკლასთან“ მატჩში სიმფეროპოლელთა შორის კიდევ ორმა ქართველი იყო, გია ჭანტურია და კახა ჩხეტიანი.

**კახა შალამბერიძე**



ლაშა ჩხაიძე

# ურიონმა მცხეთელები გაუშვა, „მცხეთა“ დაიტოვა

უმაღლესი ლიგიდან პირველში დაქვეითებული „მცხეთა-ურიონი“ ახალი სეზონისთვის, ფაქტობრივად, ახალი გუნდის კეთებას იწყებს. კლუბის დირექტორთა საბჭომ იმ 13 ფეხბურთელიდან, რომლებიც „მცხეთაში“ თამაშობდნენ და ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე „ურიონს“ შეუერთდნენ, თერთმეტს გუნდი დაატოვებინა, ისინი ტრანსფერზე დააყენეს. ორი იღბლიანი კი, ვინც ძველი გუნდიდან „მცხეთა-ურიონმა“ დაიტოვა, ნახევარმცველები ლაშა ჩხაიძე და გიორგი ავალიანი არიან. მათ „ურიონის“ ჭაბუკი ფეხბურთელები და 4-5 ახალწვეული დაემატება და გუნდიც მზადებას შეუდგება.

— ჯერჯერობით უმაღლეს ლიგაზე არ ვფიქრობთ, გავვარდით და მზადებას პირველ ლიგაში თამაშისთვის ვიწყებთ. ჩემპიონატის დაწყებამდე რა მოხდება, რა შეიცვლება, არ ვიცი, სადღეისო ვითარებით გუნდი პირველ ლიგაშია — გვითხრა „მცხეთა-ურიონის“ პრეზიდენტმა ვაჟა თოფურიამ. მისივე თქმით, „მცხეთა-ურიონი“ მომავალ სეზონშიც ამ სახელწოდებით ითამაშებს.

**ლუკა თალაკვაძე**


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14




# აბრამიძე სპარტაკში ვერ დაჯდა

მოსკოვის „სპარტაკი“ საინტერტოტოდ ემზადება. მწვრთნელმა ნევიო სკალამ უკვე შეავსო 30-კაციანი განაცხადი, რომელიც მოსკოველებმა უეფაში გააგზავნეს. ცხადია, იქ გიორგი ლომაიაც მოხვდა, ვინც ინტერტოტოზეც 16-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. სამაგიეროდ, სკალას გული ვერ მოიგო ვალერი აბრამიძემ. „სახალხოების“ მიერ ათვალწუნებული ჩვენებური საკითხი ჯერაც არაა ბოლომდე გადაწყვეტილი.

აბრამიძეს მცირე შანსი კიდევ დარჩა. ინტერტოტოს თასის ყოველ მატჩამდე 24 საათით ადრე გუნდს უფლება აქვს, განაცხადში ახალი ფეხბურთელი შეიყვანოს, თუმც ეს ნაკლებად მოსალოდნელი გვგონია. აქვე ისიც სათქმელია, რომ აბრამიძე ჯერაც „სპარტაკში“ ვარჯიშობს და, სავარაუდოდ, მისი საკითხი კლუბის ახალ ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ უნდა გაირკვეს.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ „სპარტაკის“ მეტოქე ლიტვური „ატლანტასია“. პირველი მატჩი 20 ივნისს მოსკოვში ჩატარდება, საპასუხო კი ერთ კვირაში კლაიპედაში.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარში დგას და ბერხკამპია
## ამერმა ორი ნაჭყეპია შეიმატა

პირველლიგელმა „ამერმა“ ორი მნიშვნელოვანი ტრანსფერი გაჩარხა უმაღლესლიგელებთან. გუშინწინ საქართველოს ვიტჯორჯიელ ჩემპიონ გიორგი დეკანოსიძესთან კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ გუშინ ამერელებმა ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს „თბილისის“ მეკარე რევაზ ნაჭყეპიასთან. ეს ტრანსფერი კი „ამერისთვის“ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ნაჭყეპია უმაღლეს ლიგაში ქიპმოჭრილი, გამოცდილი და საიმედო მეკარეა.



გურამ მურადაშვილის ფოტო

გასულ სეზონში „თბილისში“ ნაჭყეპიას ძირითადად სოსო გრიშიკაშვილის სათადარიგოობა უწევდა, მაგრამ როცა კარში იდგა, სასაყვედურო არავისთვის დაუტოვებია.

ჩვენ კი პირველი ამერული ინტერვიუ ჩამოვართვით რევაზ ნაჭყეპიას, ვისაც ნაცნობ-მეგობრები ქართველ ბერხკამპს ეძახიან... შიშნარევი, უჩვეულო ისტორიაა...

— რეზო, არცთუ წარმატებული სეზონი გქონდა. პირველ ლიგაში დაბრუნებასაც წარუმატებლობად თვლი?

— მიუხედავად იმისა, რომ მთელი მეორე ეტაპი სათადარიგო ვიყავი, მაინც არ ვთვლი, რომ წარუმატებელი სეზონი მქონდა. მეტიც, სტატისტიკურად ასეთი კარგი სეზონი აქამდე არც მქონია. მართალია, უმეტესწილად სათადარიგო ვიყავი, მაგრამ პირველ ეტაპზე ჩვიდმეტ მატჩი ვითამაშე და მხოლოდ ორჯერ დავმარცხდით. ასე რომ, ამ ფაქტორის გათვალისწინებით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. უკან გადადგმულ ნაბიჯად არც პირველ ლიგაში დაბრუნებას ვთვლი. ბოლოს და ბოლოს, იმასაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელ გუნდში მიხვალ. მე უკვე ამერელი ვარ, „ამერს“ კი ბევრი მომავლის გუნდად მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ.

— გიორგი დეკანოსიძე ჩემპიონი გუნდიდან წავიდა „ამერში“; „თბილისმა“ უეფას თასის საგზური მოიპოვა და პირველად გქონდა ევროტურნირზე თამაშის შანსი. განა უცნაური არ არის, ასეთ ვითარებაში ფეხბურთელები რანგით დაბალ ლიგაში სათამაშოდ რომ მიდიან?

— გეთანხმები, უცნაურია და ეგებ ბევრისთვის მოულოდნელიც, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი მიზეზი და საფუძველი აქვს. „თბილისზე“ მართლაც მწყდება გული. მარტო იმიტომ არა, რომ ამ გუნდს ევროტურნირზე თამაშის წინ დავშორდი. უმთავრესი ის არის, რომ საოცრად თბილი და მეგობრული ურთიერთობა იყო „თბილისში“. ამ გუნდში გატარებული ორი წელი მთელი ცხოვრება მემახსოვრება. მაგრამ ბოლოს ვითარება ისე მომწიფდა, რომ „თბილისს“ უნდა დავშორებოდი. სოსო გრიშიკაშვილი ჩინებული მეკარეა. მას საევროპოდ დისკვალიფიკაცია აქვს, მის შემცვლელად კი ალბათ არ გამოვდგებოდი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ევროსარბიელზე თამაშის გამოცდილება არა მაქვს, თანაც, მე ხომ ქართველ ბერხკამპს მეძახიან ფრენის შიშის გამო. ფაქტია, გასვლითი მატჩისას ჩემგან ხეირი არ იქნებოდა. თვითმფრინავში რომც ჩავმჯდარიყავი, რა განწყობით უნდა მეთამაშა, ამიტომაც ეს ყველაფერი რომ ავწონ-დავწონე, გადაწყვეტილებაც მივიღე. თანაც ამერელთა წინადადება დიდი პატივი იყო ჩემთვის. „ამერში“ გადასვლას შარშანაც ვფიქრობდი, მაგრამ მაშინ კონკრეტულ საუბრამდე საქმე არ მისულა. ახლა კი ორმხრივი სურვილის საფუძველზე შედგა მოლაპარაკება და ძალიან კმაყოფილიც ვარ.

— „ამერმა“ რით მოგხიბლა?

— ცხადია, პირობებით და პერსპექტივით. ამერელებს ეტყობათ, რომ საქმის კეთება სურთ და ამას ყველა აუცილებელი წეს-პირობის დაცვით აკეთებენ. ჩემთვის მარტო ფულს არა აქვს მნიშვნელობა, ფეხბურთელისთვის აუცილებელია შესაფერისი გარემო, ეკიპირება, სავარჯიშო პირობები, აუცილებელი საწვრთნელი შეკრებები. რამდენ გუნდს აქვს ასეთი პირობა უმაღლეს ლიგაში? „ამერში“ კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ამიტომაც მიხარია, რომ ასეთ გუნდში ვითამაშებ.

— „ამერს“ სადებიუტო სეზონი წარუმატებელი ჰქონდა. ახალი ჩემპიონატი კი ახალი ფორმატით გაიმართება. უმაღლეს ლიგაში გადასვლა თუნდაც ასეთ პირობებშიც კი არ იქნება იოლი...

— მე მაინც მჯერა, რომ „ამერი“ წარმატებას მიაღწევს ახალ სეზონში. წინა ჩემპიონატში გუნდმა აუცილებელი გამოცდილება შეიძინა. საფეხბურთო თვალსაზრისით გაიზარდნენ გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებიც, მათ ახალ სეზონში გამოცდილების მხარდამხარ მოუწევთ თამაში, მარტო გიორგი დეკანოსიძე რად ღირს. ბუნებრივია, მწვრთნელებიც ძველ შეცდომებზე სწორ დასკვნებს გააკეთებენ. ჩვენც, ფეხბურთელებმაც ერთიორად უნდა მოვინდომოთ და შეუძლებელი არაფერია... მახსოვს, პირველ ლიგაში „მერანში“ ვთამაშობდი. მაშინ მე და პაატა მეტრეველი ვიყავით გუნდში, უმაღლეს ლიგაში რომ გვეთამაშა, მაგრამ ისეთი ურთიერთგაგება და გუნდური სულისკვეთება გვქონდა, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი შევძელით. მაშინ ხომ მხოლოდ ერთი გუნდი ადიოდა უმაღლესში. მჯერა „ამერშიც“ ასე იქნება.

— **თქვი, რომ ფრენის შიში გაქვს, არადა, „ამერი“ მალე ჩეხეთში მიემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე. ავტობუსით წახვალ?**

— შარშან „თბილისი“ თურქეთში წავიდა მოსამზადებლად. თვითმფრინავში ჩაჯდომას სიკვდილი მერჩივნა. გუნდი გაფრინდა, მე კი ავტობუსით ჩავედი თურქეთში, მაგრამ მერე გერმანიაში მოგვიხდა წასვლა და სხვა გზა არ იყო, გაფრენა მომიხდა. მაგრამ ეს იყო უდიდესი კოშმარი, შიშისგან დამუნჯებული ვიყავი. მაშინ ვთქვი, თუკი ახლა მოვახერხე თვითმფრინავში ჩაჯდომა, მომავალშიც უნდა შევძლო-მეთქი, ამიტომ, რაც უნდა გამიჭირდეს, გავფრინდები ჩეხეთშიც, ბოლოს და ბოლოს, კონტრაქტზე მაქვს ხელი მოწერილი და ვალდებული ვარ, გუნდის ინტერესები დავიცვა.

— **ქართველი ბერხკამპი როდის გახდი?**

— 1989 წელს. მაშინ „ნორჩ დინამოელში“ ვთამაშობდი. თბილისი და ლიუბლიანა დაძმობილებული ქალაქებია, ჩვენ და [illegible] სო-ტურნირზე მიგვიწვიეს [illegible] ლი[illegible]. [illegible] რინდით, მაგრამ ზაგრებიდან მოსკოვში დაბრუნებისას ჰაერში რაღაც მოხდა. თვითმფრინავი მთელი ერთი საათი ამაოდ ცდილობდა დაჯდომას, უცნაურად ძაგძაგებდა და ბოლოს როგორღაც დავეშვით. ძნელია იმის გადმოცემა, რასაც განვიცდიდი. ეს იყო შიში, საშინელი შიში, რომლის დაძლევაც დღემდე ვერ მომიხერხებია.

— **მოედანზე აგრესიული ჩანხარ. გამუდმებით ყვირი, თანაგუნდელებს მოუწოდებ, ვფიქრობ, ეს დიდ ენერგიასაც გართმევს...**

— ვინც მიცნობს, იცის, რომ ორი რეზო ნაჭყეპიაა, მოედანზე და მის გარეთ. ბუნებით მშვიდი და გაწონასწორებული ვარ, მაგრამ მოედანზე სხვა სამყაროა, იქ ბოლომდე უნდა ვიყო თამაშში ჩართული, უნდა დავიცალო, ამას დიდი ენერგია ალბათ მართლაც მიაქვს, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემიძლია, ხშირად ფეხბურთელსაც სჭირდებათ შეძახება, გამოფხიზლება, ასე რომ, ვფიქრობ, ამით სარგებლობაც მომაქვს გუნდისთვის.

**პაატა ქვანტალიანი**



რევაზ ნაჭყეპიას „ამერის“ წინააღმდეგაც უთამაშია

# კილასონიას ეშმაკების ეშინია



*„რუსთავმა“ საქართველოს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ალალად დაიმსახურა. ამასწინანდელი „რუსთავი“ – „მცხეთას“ საპლეიოფო მატჩი სანახავად მართლაც ვარგოდა და. რუსთაველთა ზეიმით დასრულდა: ისინი ერთწლიანი განშორების შემდეგ ისევ დაუბრუნდნენ უმაღლეს ლიგას*

**დაუბრუნდნენ კი?** ძალიან მალე ეს საკითხავი გახდა არახალი მიზეზის გამო: რუსთავი ხომ მუდამ გამორჩეული იყო თავისი საფეხბურთო ტრადიციებით... და უფულობით.

პროფესიულმა ლიგამ უმაღლესლიგელებისთვის დააწესა ფინანსური გარანტიები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში ნებისმიერ კლუბს უმაღლეს ლიგასთან გამოთხოვება მოუწევს. ერთ-ერთი მოთხოვნა ასეთია: უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბს 300 ათასი ლარი უნდა ჰქონდეს ანგარიშზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, „რუსთავს“ ძალიან უნდა გაუჭირდეს უკვე მოპოვებული უმაღლესი ლიგის საგზურის, ასე ვთქვათ, გამოყენება. ამას ადასტურებს გუნდის მთავარი მწვრთნელი *ვარლამ კილასონია*: „ფაქტია, რომ დღესდღეობით კაპიკიც არ გაგვაჩნია, რასაც საკრებულო და ქალაქის მერია გვპირდება, ის პროფლიგის პირობების დასაკმაყოფილებლად არ კმარა. თავისთავად პროფლიგის ამ სიახლეს მივესალმები, ასეც უნდა იყოს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, ვინ რისი მაქნისია და ვის რა გააჩნია“.

უკვე აშკარაა, რომ „რუსთავის“ საქმეები არცთუ სახარბიელოა, გუნდი ჯერაც არ შეკრებილა. საქართველოში კი რამდენიმე პირველლიგელ გუნდს საკმაო ფინანსები გააჩნია, საიმისოდ, რუსთაველებს რომ ჩაენაცვლოს. აგორდა კიდეც ხმები, „რუსთავი“ უმაღლესში ადგილს გაყიდისო.

„ჩემთან კონკრეტული წინადადებით არავინ მოსულა, თუმც არ გამოვრიცხავ, რომ „რუსთავის“ ადგილას ყიდვა რომელიმე კლუბს მართლაც სურდეს. ხომ გაგიგიათ, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, ჰოდა, ასეა დღეს „რუსთავშიც“, უფულო კლუბი შეიძლება ჩაიყლაპოს“ — გვითხრა ვარლამ კილასონიამ.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ „რუსთავი“ წყალტუბოს „სამგურალის“ შემდეგ მეორე გუნდია, რომელიც უმაღლესში კი გადავიდა, მაგრამ უფულობის გამო იქ ადგილის შენარჩუნება სათუო გაუხდა.

**დავით ერაძე**

# დინამო განსხვავებულია

## გეგუჩაძეს დაცლილი უცებ შეუვსეს



გია გეგუჩაძე, ბორის გონჩაროვი, ლაშა სალუქვაძე, მიხეილ კაკალაძე და დავით პეტრიაშვილი

*გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე „დინამომ“ პრესკონფერენცია გამართა. კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა და მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ განვლილი სეზონზე, კლუბის სამომავლო გეგმებსა და ახალშეძენილ ფეხბურთელებზე ილაპარაკეს ...*

*დავით პეტრიაშვილი:* გასული სეზონის შეჯამებისას, ბუნებრივია, კმაყოფილი ვერ ვიქნები. ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა ნებისმიერი გუნდისთვის წარუმატებლობაა. თუმცა უტიტულოდ მაინც არ დავრჩენილვართ. „დინამო“ სათასო გუნდად ჩამოყალიბდა და საბოლოოდ სეზონი თასის მოგებით დავასრულეთ.

...ყველაზე დიდ წარმატებად ახალი გუნდის მშენებლობის დაწყება უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში, ამის საფუძველი ჩაყრილია, გუნდის მთავარ მწვრთნელთან გია გეგუჩაძესთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. მას სრულ ნდობას ვუცხადებთ და მიგვაჩნია, რომ ჩვენი მიზნების მისაღწევად სამწლიანი გეგმის შესრულება შესაძლებელი იქნება.

*გია გეგუჩაძე:* პირველ ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კლუბის მესვეურებს. მათ უდიდესი ნდობა გამომიცხადეს. „დინამომ“ მზადება 7 ივნისს დაიწყო. 22 ივნისამდე თბილისში გავაგრძობთ ინტენსიურ ვარჯიშს, რომელსაც 4 ამხანაგური მატჩიც დაემატება. 12 ივნისს ბაქოს „ნეფთჩის“ ეროვნულ სტადიონზე ვეთამაშებით. 15 ივნისს დაგეგმილი იყო მატჩი „პიუნიკთან“, თუმცა სომხების უარის შემდეგ ამ დღეს გორით „დილას“ ისევ ეროვნულ სტადიონზე ვუმასპინძლებთ. 18 ივნისს „თბილისს“ „ისნის“ სტადიონზე ვეთამაშებით. 21 ივნისს „ლოკომოტივს“ დილმის საწვრთნელ ბაზაზე მივიღებთ. 22 ივნისს გერმანიაში გავემგზავრებით. რუიტის ბაზაზე 10 ივლისამდე დავრჩებით. დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვა. 26 ივნისს კი შვეიცარიაში გადავალთ, სადაც „ჩემპიონ კაპის“ ოთხთა ტურნირში ვითამაშებთ. ჩვენი პირველი მეტოქე „ბაზელი“ იქნება. მეორე წყვილი „იანგ ბოისი“ და ბუქარესტის „დინამოა“. ტურნირის მეორე თამაშს 3 ივლისს გავმართავთ.

... გუნდის გასაძლიერებლად კონტრაქტი გავაფორმეთ სამ ფეხბურთელთან, ბორის გონჩაროვთან, ლაშა სალუქვაძესთან და მიხეილ კაკალაძესთან. „დინამო 2-ის“ შვიდი ფეხბურთელი — თოთლაძე, გიგაური, კაშია, ხმალაძე, კანკავა, გრიგალაშვილი და დვალი ამიერიდან მთავარ გუნდში იქნებიან. „დინამო“ კი წერეთელმა, ბობოხიძემ, გვარამაძემ, [illegible] და ქოქიაშვილმა დატოვეს.

...[illegible] თავისუფლება [illegible] ბის გამო. ის თბილისში ჩამოვა და მოლაპარაკებებს განვაგრძობთ. ყოველ შემთხვევაში, მისი კლუბში დატოვების სურვილი ნამდვილად გვაქვს.

*დავით პეტრიაშილი:* განათხოვრებული ფეხბურთელებიდან მხოლოდ მამალძე დავიბრუნეთ და ის გუნდთან ერთად ვარჯიშობს. სახვაძეს, მიქაძესა და ვაშაკიძეს კი სხვა კლუბებში თამაში უფლება მივეცით.

პრესკონფერენციის შემდეგ დინამოს მმართველმა დირექტორმა ახალწვეულებს მაისურები გადსცა. ნომრები ასე განაწილდა: თოთლაძე — 22, კაშია — 15, ხმალაძე — 17, კანკავა — 23, გრიგალაშვილი — 27, გიგაური — 24, დვალი — 11, გონჩაროვი — 19, სალუქვაძე — 4, კაკალაძე — 21. მედიელებს დინამოელთა ვარჯიშზე დასწრების ნებაც დაგვრთეს. საინტერესო და თვალშისაცემი ის იყო, რომ „დინამოსთან“ ერთად ჯერ კიდევ უკონტრაქტო ალადაშვილი, ჭიჭველიშვილი, ბაქრაძე და კიკნაძე ვარჯიშობდნენ.

**დავით ერაძე**

# ნაკილკისიაკოსარი ზირაქაძე არისშია

## ცხრა წელი და ათასი თავსატეხი სალონიკამდე



**ვალერი ზირაქაძის** ტრანსფერს საშველი დაადგა. 26 წლის ქართველი ნახევარმცველი ახალი სეზონიდან საბერძნეთის უმაღლესლიგელ სალონიკის „არისში“ ითამაშებს. „არისმა“ ჯერ კიდევ შარშან უნგრული „ტატაბანიასგან“ 300 ათას ევროდ შეიძინა ჩვენებური, თუმც ზირაქაძეს ამ კლუბში დღემდე არ უთამაშია და ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა.

თავიდან მოვყვეთ: 1996 წელს ზირაქაძე რუსთავის „მეტალურგიდან“ ბერძნულ „ქსანტიში“ გადავიდა. მოძღვენო სეზონში ზირაქაძემ „ტატაბანიას“ დაუკავშირა ბედი და უსიამოვნებებიც აქედან დაიწყო. უნგრელების საკონტრაქტო მაქინაციებმა ჩვენებურს კინაღამ სამუდამო დისკვალიფიკაცია „აჰკიდა“.

დიდი ჯახირის შემდეგ ზირაქაძემ „ტატაბანიასაც“ დააღწია თავი და შარშან „არისში“ ჩაირიცხა, თუმც... პრობლემები ამით არ დასრულებულა. „არისს“ იმხელა ვალები ჰქონდა, რომ ფიფამ ყოველგვარი ტრანსფერი აუკრძალა და ჩვენებურიც ისევ ჰაერში გამოეკიდა. გამოსავალი თავად ბერძნებმა ნახეს — ზირაქაძე მესამელიგელ „კილკისიაკოსში“ გაანათხოვრეს.

ახლა კი უბედობის ზღაპრულ დასასრულზეც: „არისმა“ გაჭირვებით, მაგრამ მაინც დააღწია ჭაობს თავი. ფიფამ დისკვალიფიკაცია მოუხსნა, სალონიკელებმაც უმაღლეს ლიგაში ადგილი ძლივს შეინარჩუნეს და ზირაქაძის ჯერიც დადგა: ქართველი ნახევარმცველი „კილკისიაკოსიდან“ „არისს“ დაუბრუნდა. ეს ამბავი უკვე ბეჭედდასმულია.

ამგვარად, მომავალ სეზონში ვალერი ზირაქაძეს ცხრაწლიანი განშორების შემდეგ შეეძლება, საბერძნეთის ჩემპიონატში ითამაშოს.

შევახსენებთ, რომ ზირაქაძემ „არისამდე“ ხუთი კლუბის გამოცვლა მოასწრო. იყო ხაშურის „ივერია“, რუსთავის „მეტალურგი“, ბერძნული „ქსანტი“, უნგრული „ტატაბანია“ და „კილკისიაკოსი“.

**ქახა შალამბერიძე**

*გუშინ ავლაბარში, „ისნის“ სტადიონზე „თბილისმა“ ამხანაგურად უმასპინძლა გორის „დილას“ და 2:0 მოუგო.*



„თბილისის“ მწვრთნელი გიორგი დევდარიანი

**„თბილისს“** უეფას თასზე უწევს თამაში, ხოლო „დილას“ ინტერტოტოზე და სეზონისთვის მზადებას ეს გუნდები ადრიანად ამიტომაც შეუდგნენ.

ორივე გუნდმა რადმენიმე ახალწვეული ათამაშა. „თბილისმა“ თენგიზ ჩიკვილაძე და სერგო ორბელაძე გაიყვანა მინდორზე, ხოლო „ბათუმიდან“ ნათხოვარ აკაკი დევაძეს არ უთამაშია, რადგან ორი დღეა, რაც შვებულების შემდეგ ვარჯიში განაახლა.

ახალი ფეხბურთელები „დილაშიც“ იყვნენ — როინ ონიანი და აქვსენტი გალაური, ორივე ექსსიონელი.

პირველი გოლი გოგა ფიფიამ შეაგდო — „დილას“ საჯარიმოში შეჭრილმა ბურთი მარცხენა ფეხზე გადაიტანა და არცთუ ძლიერად დაარტყა, მაგრამ „დილას“ მეკარე რამაზ სოლოლაშვილს ადვილად ასაღები ბურთი იღლიაში გაუძვრა.

# ევროპავლაბარი დილასა და თბილისისთვის

ამის შემდეგ „დილამ“ ძალიან მწვავედ შეუტია თბილისელებს. ზურაბ მუშკუდიანმა თავურით ხარიხას გაარტყა, შემდეგ ქრისტოეფორე შატაკიშვილმა სცადა ბედი, მაგრამ „თბილისის“ მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა იყოჩაღა. ცოტაც და, გრიშიკაშვილი კვლავ გამოირჩა — მუშკუდიანს ახლოდან აუღო. მალე მუშკუდიანი ფაქტობრივად პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ გრიშიკაშვილმა ისევ აჯობა მას.

გოლის გატანა ონიანმაც მოინდომა — მისი თავური ხარიხას მოხვდა, დამატებაზე კი მუშკუდიანმა ბურთს თავი ააცილა.

ამდენი საგოლე მომენტის გაცუდება კი „თბილისმა“ მეტოქეს არ აპატია, მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშა და დავით ოდიკაძემ ერთხელაც დაალონა სოლოლაშვილი.



„დილას“ თავკაცი ზურაბ ხორგუაშვილი

მეორე ტაიმი პირველზე მდარე გამოდგა და აშკარა საგოლე მომენტებიც არ ყოფილა.

**დავით თავართქილაძე**



„თბილისის“ ახალწვეული თენგიზ ჩიკვილაძე (მარცხნივ) და ძველი გორელი ქრისტეფორე შატაკიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 007 | გერმანია-ჰოლანდია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 009 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7,0 | 3,5 | 1,5 | 2,33 | 1,23 | 1,04 |
| 23.45 | 010 | რუსეთი-პორტუგალია | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 011 | ინგლისი-შვეიცარია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 012 | ხორვატია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 013 | ბულგარეთი-დანია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.45 | 014 | იტალია-შვედეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 023 | ჰოლანდია-ლატვია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 024 | გერმანია-ჩეხეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | 6001 ჩემპიონი | 6101 ფინალი | 6201 ჯგ.Iადგ. | 6301 ჯგ.გასვ | 6401 ჯგ.ვერ.გასვ |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4,5 | 2,2 | 1,75 | 1,15 | 4,0 |
| იტალია | 4,5 | 2,2 | 1,65 | 1,12 | 4,4 |
| პორტუგალია | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,2 | 3,5 |
| ესპანეთი | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,25 | 3,1 |
| ინგლისი | 6,0 | 3,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჰოლანდია | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 2,8 | 1,5 | 2,2 |
| გერმანია | 15,0 | 7,0 | 3,1 | 1,55 | 2,1 |
| შვედეთი | 25,0 | 12,0 | 4,5 | 1,9 | 1,7 |
| დანია | 30,0 | 13,0 | 4,6 | 1,95 | 1,65 |
| რუსეთი | 50,0 | 25,0 | 8,0 | 3,2 | 1,23 |
| ხორვატია | 50,0 | 20,0 | 8,0 | 2,9 | 1,27 |
| ბულგარეთი | 50,0 | 25,0 | 7,5 | 2,9 | 1,27 |
| საბერძნეთი | 75,0 | 35,0 | 8,0 | 3,8 | 1,16 |
| შვეიცარია | 75,0 | 35,0 | 12,0 | 3,8 | 1,16 |
| ლატვია | 200,0 | 75,0 | 30,0 | 8,0 | 1,02 |


CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24
+%

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია B. XXXXVI ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 011 | ასკოლი-ტრევიზო | 1,8 | 2,2 | 5,0 | 1 | 1,32 | 1,52 |
| 23.30 | 018 | პესკარა-ტერნანა | 2,5 | 2,5 | 2,5 | 1,25 | 1,25 | 1,25 |
| 23.30 | 019 | პიაჩენცა-ჯენოა | 1,95 | 2,25 | 4,0 | 1,04 | 1,31 | 1,44 |
| 23.30 | 022 | ვიჩენცა-ლივორნო | 2,3 | 2,3 | 3,0 | 1,15 | 1,3 | 1,3 |
| | | **იტალია. სერია C1/A. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 025 | ჩეზენა-ლუმეცანე | 2,1 | 2,5 | 4,0 | 1,14 | 1,37 | 1,53 |
| | | **იტალია. სერია C1/B. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 026 | ვიტერბესე-კროტონე | 2,2 | 2,5 | 3,6 | 1,17 | 1,36 | 1,47 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXXI ტური** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 031 | სალამანკა-რაიო | 2,1 | 2,8 | 3,3 | 1,19 | 1,28 | 1,51 |
| 21.00 | 035 | ალავესი-სიუდადი | 1,35 | 3,4 | 5,6 | 1 | 1,08 | 2,11 |
| 21.00 | 038 | ალმერია-სპორტინგი | 2,7 | 2,8 | 2,4 | 1,37 | 1,27 | 1,29 |
| | | **დანია. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 16.00 | 042 | სიონდერიულანდი-სილკებორგი | 3,3 | 3,6 | 1,8 | 1,72 | 1,16 | 1,19 |
| 16.00 | 043 | პორსენსი-ბ 1913 | 1,05 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 16.00 | 044 | კიოგე-ფრედერისია | 1,45 | 4,2 | 5,0 | 1,07 | 1,12 | 2,28 |
| 16.00 | 045 | ფკ ორჰუსი-ნორდიულანდი | 2,1 | 3,6 | 2,1 | 1,32 | 1,04 | 1,32 |
| 16.00 | 046 | ფრემადი-ნიკიობინგი | 2,3 | 3,6 | 2,4 | 1,4 | 1,17 | 1,44 |
| 16.00 | 047 | ბრიონსპიოი-რანდერსი | 3,6 | 4,0 | 1,65 | 1,89 | 1,13 | 1,16 |
| 16.00 | 048 | იოლსტიკე-სკიოლდი | 2,0 | 3,6 | 2,9 | 1,28 | 1,18 | 1,6 |
| 16.00 | 049 | ბ 93-ვეილე | 2,3 | 3,5 | 2,45 | 1,38 | 1,18 | 1,44 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. X ტური** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 061 | ფრისკა-ფალკენბერგი | 1,95 | 3,4 | 3,2 | 1,23 | 1,21 | 1,64 |
| 19.00 | 062 | იოსტერსი-ფრიოლუნდა | 2,15 | 3,4 | 2,8 | 1,31 | 1,21 | 1,53 |
| 19.00 | 063 | ჰეკენი-ოპერა | 1,7 | 3,5 | 4,0 | 1,14 | 1,19 | 1,86 |
| 19.00 | 064 | ასირისკა-გეფლე | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |
| 19.00 | 065 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 066 | ბრაგე-ბოდენსი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 19.00 | 067 | ბრომაპოიკარნა-ვესტეროსი | 1,9 | 3,4 | 3,3 | 1,21 | 1,2 | 1,67 |
| 19.00 | 068 | ენჩიოპინგი-გაის | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. XI ტური** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 074 | სოგნდალი-ვოლერენგა | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 21.00 | 075 | ჰამარი-მოლდე | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 21.00 | 076 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 21.00 | 077 | ლინი-ვიკინგი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 21.00 | 078 | ბრანი-ფრედრიკსტადი | 1,4 | 4,0 | 7,0 | 1,03 | 1,16 | 2,54 |
| 21.00 | 079 | ტრომსიო-ოდ გრენლანდი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 080 | სტაბეკი-როსენბორგი | 4,4 | 3,6 | 1,65 | 1,98 | 1,2 | 1,13 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 18.30 | 083 | კონგსვინგერი-სტარტი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 084 | ალესუნდი-ბრინი | 1,65 | 3,8 | 4,0 | 1,15 | 1,16 | 1,94 |
| 21.00 | 085 | ჰაუგესუნდი-სანდეფიორდი | 2,45 | 3,5 | 2,3 | 1,44 | 1,18 | 1,38 |
| 21.00 | 086 | მანდალი-ჰიოდი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| 21.00 | 087 | მოსი-ჰიონეფოსი | 2,0 | 3,5 | 3,0 | 1,27 | 1,2 | 1,61 |
| 21.00 | 088 | პორს გრენლანდი-ტრომსდალენი | 1,75 | 3,6 | 3,5 | 1,17 | 1,16 | 1,77 |
| 21.00 | 089 | სკეიდი-ვარდ ჰაუგესუნდი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| 21.00 | 090 | სტრიომსგოდსეტი-რაუფოსი | 1,6 | 3,8 | 4,4 | 1,12 | 1,17 | 2,03 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. IX ტური** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 099 | კტპ-როვანიემი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 18.00 | 100 | იარო-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 101 | ჰიკ-ტამპერე | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 18.30 | 121 | შემროკი-ბოჰემიანი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| | | **ბრაზილია. სერია A. IX ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 169 | ფლუმინენსე-გუარანი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 24.00 | 170 | პარანა-ბოტაფოგო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 02.00 | 171 | სან პაულუ-გრემიო | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 02.00 | 172 | ინტერნასიონალი-ატლეტიკო მგ | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 173 | პალმეირასი-ვასკუ და გამა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 24.00 | 174 | გოიასი-კორინთიანსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 24.00 | 175 | კურიტიბა-სან კაეტანო | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 24.00 | 176 | კრიკიუმა-ჟუვენტუდი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 24.00 | 177 | კრუზეირო-პაისანდუ | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 24.00 | 178 | პონტე პრეტა-ფიგეირენსე | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 02.00 | 179 | ვიტორია-სანტოსი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 02.00 | 180 | ფლამენგო-ატლეტიკო პრ | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| | | **არგენტინა. კლაუსურა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 02.35 | 185 | კოლონი-ველესი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 05.10 | 186 | კილმესი-რასინგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 187 | არსენალი-ჩაკარიტა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.30 | 188 | ბანფილდი-ხიმნასია | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2.1 |
| 23.30 | 189 | ესტუდიანტესი-ნუევა ჩიკაგო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1.69 |
| 23.30 | 190 | ნიუელსი-ატლეტიკო | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| 23.30 | 191 | სან ლორენსო-როსარიო | 1,55 | 3,5 | 4,8 | 1,07 | 1,17 | 2.02 |
| 00.10 | 192 | რივერ პლეიტი-ლანუსი | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,13 | 2.46 |
| 02.30 | 193 | ოლიმპო-ბოკა ხუნიორსი | 4,2 | 3,4 | 1,65 | 1,87 | 1,18 | 1,11 |
| | | **ურუგვაი. პრიმერა. XII ტური** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 199 | ბელა ვისტა-უონდერერსი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,52 | 1,25 | 1,3 |
| 23.30 | 200 | სერო-სერიტო | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 23.30 | 201 | მალდონადო-დანუბიო | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,19 | 1.07 |
| 23.30 | 203 | ლივერპული-რენტისტასი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1.52 |
| 23.30 | 204 | მირამარი-კოლონია | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1.62 |
| 23.30 | 205 | პენიაროლი-ნასიონალი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1.64 |
| 23.30 | 206 | როხა-პლასა | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1.21 | 1.67 |
| 23.30 | 207 | ტაკუარემბო-სენტრალი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| | | **ჩილე. აპერტურა** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 00.30 | 214 | კონსეპსიონი-უნ.ჩილე | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 04.00 | 215 | უონდერერსი-უნ.ესპანიოლა | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 00.30 | 216 | კობრელოა-ტემუკო | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2.6 |
| 03.30 | 217 | კოლო კოლო-უაჩიპატო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1.21 | 2,02 |
| | | **მექსიკა. კლაუსურა** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 22.05 | 221 | პუმასი-ჩივასი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **აშშ. MLS. XI ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 01.00 | 226 | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| 04.30 | 227 | კოლამბუსი-კანზასი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 04.30 | 228 | ვაშინგტონი-კოლორადო | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 05.30 | 229 | დალასი-ნიუ ინგლენდი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| 07.00 | 230 | სან ხოსე-ნიუ იორკი | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,23 | 1,28 | 1,57 |
| | | **იაპონია. ჯეი ლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 233 | ტოკიო-გამბა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 11.30 | 234 | ივატა-იჩიჰარა | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| 11.30 | 235 | ნაგოია-ურავა | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 11.30 | 236 | კობე-იოკოჰამა | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,57 | 1,26 | 1,25 |
| 15.00 | 237 | კაშივა-შიმიცუ | 2,3 | 3,1 | 2,7 | 1,32 | 1,24 | 1,44 |
| 15.00 | 238 | ოიტა-ნიიგატა | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 11.00 | 239 | ჩერეძო-ვერდი | 2,35 | 3,1 | 2,5 | 1,33 | 1,21 | 1,38 |
| 11.00 | 240 | ჰიროსიმა-კაშიმა | 2,45 | 3,1 | 2,45 | 1,36 | 1,22 | 1,36 |
| | | **ევრო 2004** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **13 ივნისი.** | | | | | | |
| 05.30 | 1123 | დეტროიტი-ლეიკერსი | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეიკერსი 1:2 დეტროიტი

10 ივნისი. დეტროიტი. „ობურნ ჰილზი“. 22 076 მაყურებელი

**დეტროიტი 88:68 ლეიკერსი**

24:16 15:16 24:19 25:17

დეტროიტი: ბილაფსი (19), ჰამილტონი (31), პრინსი (11), რ. ვოლესი (3), ბ. ვოლესი (7); უილიამსონი (6), კემპბელი (5), ჰემი (2), ოქური (2), ჰანტერი (2), ჯეიმსი, მილიჩიჩი

ლეიკერსი: პეიტონი (6), ბრაიანტი (11), ჯორჯი (8), მელოუნი (5), ონილი (14); ფიშერი (9), რაში (8), უოლტონი (4), მედვედენკო (3), კუკი, რასელი

# ლეიკერსი დენთის კასრზე

## დეტროიტმა პატრუქი აანთო



REUTERS



რიჩარდ ჰამილტონის და მისი „დეტროიტის“ გადამკიდე კობი ბრაიანტს თავი აღარ გამოეყოფა

„დეტროიტ პისტონზმა“ საშინლად დასაჯა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ორი დღის წინ გამარჯვების მოპარვისთვის. კობი ბრაიანტის სამქულიანს დეტროიტელებმა მისი გუნდის 20-ქულიანი შემუსვრით უპასუხეს და სერიაშიც 2:1 დაწინაურდნენ. „პისტონზი“ კიდევ ორ მატჩს მასპინძლობს და თუ ფილ ჯექსონმა მონუსხული შეგირდები ვერ გამოაფხიზლა, ვაი შენს „ლეიკერსს“!

...ბოლო მეოთხედის ერთ მომენტში „დეტროიტის“ სათადარიგო ცენტრმა ელდენ კემპბელმა შაკილ ონილისთვის გამიზნული პასი ჩაჭრა. ბურთი კემპბელის თანაგუნდელ რიჩარდ ჰამილტონს მიუვიდა, კემპბელი კი ამ დროს „ლეიკერსის“ ფარისკენ მიქროდა, პასი გზაში დაეწია. ბებერ და ოყლაყ ელდენს კი გაუჭირდა ახტომა, მაგრამ მაინც გრუხუნით ჩატენა ბურთი კალათში, მისი „დეტროიტი“ კი 18 ქულით დაწინაურდა. ეს ერთი რამდენიმეწამიანი მონაკვეთი მთლიანად მატჩის ერთგვარი გამოხატულება იყო. ეს გუნდი არაფრით ჰგავდა მორიგი ჩემპიონობისთვის გოროზად შემართულ „ლეიკერსს“, „დეტროიტი“ ვილაც გზააბნეული ბებრების კრებულს აჩანაგებდა.

კარლ მელოუნმა და გერი პეიტონმა კვლავ დაალალატეს თავისიანები, მაგრამ ამჯერად სხვა ლიდერებიც ჩაფლავდნენ. შაკილ ონილმა თამაში 14 ქულით დაასრულა და კობი ბრაიანტიც რას აკეთებდა მოედანზე, ალბათ ყოვლისმცოდნე ფილ ჯექსონმაც არ უწყის. სადღა იყო წინა მატჩის გმირი, მოუხელთებელი და მკვლელი ბრაიანტი. დაბნეულსახიანი მისი აჩრდილი მთელი პირველი ტაიმი უაზროდ დაეხეტებოდა მოედანზე და თამაშიდან ბურთი არ ჩაუგდია. დიდ შესვენებამდე თავის გაჭირვებულ გუნდს ერთადერთი საჯარიმო თუ შეაწია მაშინ, როცა მისი ოპონენტი რიჩარდ ჰამილტონი ბურთს ბურთზე აგდებდა და „ლეიკერსს“ წინა მატჩში წაგებისთვის სამაგიეროს უზღავდა.

„ლეიკერსი“, ასე თუ ისე, მაინც იმაგრებდა პირველ ტაიმში თავს, მეორე ტაიმიდან კი სავებით გასავათებულმა თანდათან ჩაძირვა იწყო. სხვაობა მატულობდა და ბოლო მეოთხედში ყველაფერი აშკარა გახდა. კემპბელის იმ ჩატენვის შემდეგ „ლეიკერსს“ „დეტროიტის“ კიდევ ერთმა სათადარიგომ ლინდსი ჰანტერმაც ჩაუგდო და სხვაობა 20 ქულამდე გაიზარდა. ეს უკვე განადგურება იყო. „ლეიკერსი“ პირველივე წუთიდან აგებდა და 20 ქულითაც დამარცხდა. ლოსანჯელესელებმა საერთოდ ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს, თავმომწონე ჰოლივუდელები კარგა ხანია, ასე არავის გაუბითურებია.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ნბა-ში დენთის სუნი დატრიალდა, „ლეიკერსი“ კარგა დიდ, თან მოკლეპატრუქიან კასრზე ზის. „დეტროიტი“ მჯობნის მჯობნი აღმოჩნდა. მიჩიგანელები ერთი თავით მაღლა დგანან დასავლელ მეტოქეზე და ეს მაშინ, როცა აღმოსავლელს ფინალი 1998 წლის შემდეგ არ მოუგია. მეტიც, შანსიც არ გასჩენია.

„მე შოკში ვარ — ამბობს „დეტროიტის“ მწვრთნელი ლარი ბრაუნი — პირდაპირ ვამაყობ ჩემი ბიჭებით, ვერც კი წარმომიდგენია, უკეთესად როგორ უნდა ითამაშონ.“

...რიპ ჰამილტონმა „ლეიკერსს“ 31 ქულა ჩაუგდო, ჩონსი ბილაფსმა — 19, ტაიშონ პრინსმა კობი ბრაიანტი შებოჭა, რაშიდ და ბენჯამინ ვოლესებმა შაკილ ონილს მთელი მისი სამეფო, სამწამიანი ზონა წაართვეს. ლარი ბრაუნმა რაც ვერ შეაძლებინა ნიჭიერ, მაგრამ თავნება ალენ აივერსონს „ფილადელფიაში“, ახლა აკეთებინებს დამჯერ და მუყაით დეტროიტელებს. მეორე თამაშში ბოლ წამებზე მიღებული კობი ბრაიანტის სამქულიანი და შემდეგ ოვერტაიმში წაგება ნამდვილი ზაფრა იყო დეტროიტელებისათვის, მაგრამ მესამე თამაშში მათ სულიერი ტრავმის თუ რაღაც ამის მსგავსი არაფერი ეტყობოდათ. ეს იყო საჩემპიონო გუნდი, რომელსაც მიზნამდე რამდენიმე თამაში დარჩენია.

„დეტროიტი“ ორ მომდევნო მატჩს მასპინძლობს.

**კოტე ყორშია**

# დეტროიტმა ამერიკელ დავით გოგიჩაიშვილს ბოდიში მოახდევინა



„ლეიკერსის“ ოხუნჯ ქომაგ ჯიმი კიმელს დეტროიტელებმა კუდი მოსწვეს

**ამერიკული** ტელეკომპანია ეი-ბი-სის იუმორისტული გადაცემის წამყვანს საჯაროდ მოახდევინეს ბოდიში იმ სიტყვებისთვის, რაც მან ოთხშაბათს, „ლეიკერსი“ — „დეტროიტის“ მე-2 ფინალური მატჩის შესვენებისას თავის „ღამის შოუში“ თქვა.

იქაური „დავით გოგიჩაიშვილი“, სახელად ჯიმი კიმელი ოთხშაბათს უდაძაბულესი ფინალური მატჩის შესვენებისას გასულა ეთერში, რათა ხალხი, უფრო კი „ლეიკერსის“ გულშემატკივრები გაემხიარულებინა და ასეთი რამ თქვა: „მე გამიხარდება, თუ „ლეიკერსი“ გაიმარჯვებს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქომაგი ვარ — „პისტონზმა“ რომ მოიგოს, სიხარულისგან თავზეხელაღებული მისი ფანები დეტროიტს გადაბუგავენ.“

რას ჰქვია, გადაბუგავენო და დეტროიტის სახელიანმა მოქალაქეებმა ტელეარხის უფროსებს შეუტიეს, მაგ ტუტუცმა კიმელმა ბოდიში მოიხადოს, თორემ სასამართლოში სირბილით სიქას გავაცლითო.

ეი-ბი-სის უფროსობაც არ გაჯიუტებულა და თავისი იუმორისტის ვექილობა არ დაუწყია — „ჩვენ ჩვენი ტელევიზიის ინტერესებიდან გამოვდივართ და ვთვლით, რომ ჯიმიმ ბოდიში უნდა მოიხადოს.“ გავიდა ორიოდ საათი და ჯიმი კიმელმა მთელი დეტროიტის გასაგონად თქვა: „რაც „დეტროიტის“ ფანებზე ვთქვი ჩემს ოთხშაბათის გადაცემაში, მხოლოდ ხუმრობა იყო და თუ ვინმემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, ბოდიშს ვუხდი. მე ეს იმიტომ ვთქვი, რომ ლოსანჯელესელი ფანები გამარჯვებას გადამეტებულად აღნიშნავენ და ასეც კი ვიხუმრე: „ლეიკერსმა“ რომ მოიგოს, ქუჩაში გავარდები და ჩემს მანქანას ამოვაყირავებ-მეთქი.“

2000 წელს ლოს ანჯელესში მართლაც ყოფილა ფანთა მღელვარება, როცა 12-წლიანი შესვენების შემდეგ „ლეიკერსი“ ჩემპიონი გახდა. უზომოდ გახარებული ფანობა მანქანებს ლეწავდა და რასაც ცეცხლი ეკიდებოდა, უკიდებდა. უარესი ამბები მოხდა 1984 წელს კიმელისგან „გალადავებულ“ დეტროიტში, როცა იქაურმა „ტაიგერსმა“ ბეისბოლის ჩემპიონატი მოიგო და ავტოქალაქი ფანთა გადაჭარბებულმა სიხარულმა დააზარალა.

**ირაკლი პერტაია**

# ქართველმა გულივერმა მოგზაურობა დაამთავრა

## ათუაშვილი საფრანგეთში დამკვიდრდა

*გუშინ კიდევ ერთი ქართველი შეემატა საფრანგეთის უმაღლეს ლიგას. სამთვიანი დაკვირვების შემდეგ საფრანგეთის ერთ-ერთმა მოწინავე გუნდმა „შალონმა" კონტრაქტი გაუფორმა 19 წლისა და 223 სანტიმეტრის სიმაღლის სერგო ათუაშვილს. ათუაშვილი ყველაზე მაღალი ქართველი კალათბურთელია, ის თავის დროზე ზურაბ სამხარაძემ გორში აღმოაჩინა და თბილისში ჩამოიყვანა. ათუაშვილი თამაშობდა „გორში", „ბასკოში", შემდეგ კი მოულოდნელად დაიკარგა და რამდენიმე ევროპულ გუნდში გასასინჯად მოარულმა კონტრაქტს ფრანგულ „შალონთან" მიაღწია. სერგოს გუშინვე შევეხმიანეთ საფრანგეთში...*



— რამდენიმე საათია, კონტრაქტი გავაფორმე, ძალიან გახარებული ვარ.

**— ამდენი ხანი რატომ გაგიჯანჯლდა? უკვე 3 თვეა, მანდ ხარ...**

— თავიდან მაკვირდებოდნენ, ყველა ნიუანსს ითვალისწინებდნენ. მერე კი, ჩემი აყვანა რომ გადაწყვიტეს, კარგა ხანი კონტრაქტის შედგენას დასჭირდა. ჩემი მენეჯერი სალივან რიდი სხვა ქალაქში იყო და კონტრაქტის ახალ-ახალი ვარიანტების გაგზავნა-გამოგზავნამ ბევრი დრო წაიღო. თან ალბათ შალონელებს უნდოდათ, სეზონი დასრულებულიყო და მერე გაეფორმებინათ ჩემთან კონტრაქტი.

**— რა პირობებით აგიყვანეს?**

— კონტრაქტი 2+2-წლიანია და ის „შალონის" ძირითად გუნდთან გავაფორმე. საერთოდ, რაც აქ ვარ, სულ დიდ გუნდთან ვვარჯიშობ, ერთი-ორჯერ მივედი დუბლებთან, ისიც მაშინ, როცა „შალონი" გასვლით მატჩზე იმყოფებოდა. ორი წლის შემდეგ თუ უკეთესი შემოთავაზება მექნება, დაუბრკოლებლად გამიშვებენ, თუ არა და, ორი წელი ისევ „შალონში" დავრჩები.

**— საყოფაცხოვრებო პირობები?**

— აქამდე სასტუმროში ვცხოვრობდი, ამიერიდან კი ბინასაც მომცემენ და მანქანასაც. ახალ საცხოვრებელში აგვისტოში გადავალ, როცა საფრანგეთში დავბრუნდები — ორშაბათს საქართველოში მოვდივარ. დანარჩენი წვრილმანებია და მე ყველა პირობა მაკმაყოფილებს.

**— კონტრაქტი გუნდის ოფისში გააფორმე?**

— დიახ, საგანგებო პრესკონფერენციაზე. ჟურნალისტებმა რამდენიმე კითხვა დამისვეს, მერე კი გუნდის მენეჯერმა 15-ნომრიანი მაისურაც გადმომცა.

**— ესე იგი, ძირითად გუნდში ითამაშებ...**

— ძირითადად ასეა, მაგრამ ხანდახან დუბლებშიც მოგიწევს თამაშიო, მითხრეს. ასაკი მაძლევს დუბლებში თამაშის საშუალებას და ფრანგებიც ალბათ გამომიყენებენ.

**— რას ფიქრობ, დაიმკვიდრებ ადგილს „შალონის" ძირითადში?**

— „შალონი ძალიან სერიოზული გუნდია. რეგულარულ ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა და პლეი ოფში დამარცხდა. უკვე სამი თვეა, აქ ვარ და თითქმის ყველა კალათბურთელი ახლოს გავიცანი. ძალიან კარგი ბიჭები არიან და, რაც მთავარია, პროფესიონალები. ვეცდები, ხელმძღვანელობის იმედები გავამართლო და თანაგუნდელებს არაფერში ჩამოვრჩე.

**— „შალონში" გასასინჯადაა დავით საყვარელიძეც...**

— დათოს აქაურებმა შესთავაზეს კონტრაქტი, რომელიც მთლად მისაღები არ იყო და ჩვენმა მენეჯერმა დაიწუნა. საყვარელიძეს რიდმა ესპანური გუნდების ვარიანტები შესთავაზა და თუ უკეთეს კონტრაქტს ვერ გამოჰკრა ხელი, ისევ „შალონში" დაბრუნდება. ორშაბათს მე, საყვარელიძე და დინამოელი ვიქტორ სანიკიძე თბილისში ერთად მოვფრინავთ.

**ირაკლი პერტაია**



# ჰიუიტმა ლონდონში იბალახა

**THE STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**
ლონდონი. ბალახი
საპრიზო 792 ათასი €

**მესამე წრე**

**ენდი როდიკი (1, აშშ)** — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3), 6:3; **სებასტიან გროჟანი (5, საფრანგეთი)** — იან ფლანაგანი (ბრიტანეთი) 6:2, 6:0; **ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია)** — ჯონი მარეი (ბრიტანეთი) 7:6 (7:2), 7:6 (10:8); **პარადორნ შრიჩაფანი (7, ტაილანდი)** — ანტონი დიუპუა (საფრანგეთი) 6:3, 7:5; **ლი ჰიუნგ-ტაიკი (სამხრეთ კორეა)** — სხენგ შალკენი (8, ჰოლანდია) 7:6 (7:3), 6:7 (6:8), 6:3; **კაროლ ბეკი (სლოვაკეთი)** — ივო კარლოვიჩი (14, ხორვატია) 6:7 (4:7), 7:6 (7:3), 6:3; **რადეკ სტეპანეკი (15, ჩეხეთი)** — ლუ იენ-ჰსუნი (ტაივანი) 6:2, 6:4; **იგორ ანდრეევი (რუსეთი)** — ილივიე პასიანსი (საფრანგეთი) 6:4, 7:5

მეოთხედფინალში გასაღწევად ტურნირის სამგზის ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტს უსახელო ბრიტანელ მარეის წინააღმდეგ მთელი თავის ათას კორტზე შეძენილი გამოცდილების მოხმობა დასჭირდა. ამ მარეიმ, როგორც ჭეშმარიტ მებალახეს შეშვენის კიდეც, მთელი მატჩი ბადესთან დაჰყო და სწორედ ამის გამო იყო, უკანახაზიდან მობრაზუნე ოზბიჭს ზორბა პრობლემები რომ შეუქმნა.

ტიტულის დაცვა წარმატებით განაგრძო შარშანდელმა ჩემპიონმა ენდი როდიკმა, ვისაც ასევე გაუჭირდა ახმახი ხორვატის მარიო ანჩიჩის მორჯულება. მეტიც, თუკი ჰიუიტმა თავისი საქმე მაინც სეტისწაუგებლად მოაგვარა, როდიკს ერთის დათმობაც მოუხდა.

იძლია 22 წლის იან ფლანაგანი, რეიტინგსიის 866-ე ადგილზე მდგომი უელსელი, ვინაც მეცხრე ნომრად განთესილი მარკ ფილიპუსისის საპირველწრეო დამარცხებით ტურნირის ისტორიაში უდიდეს სენსაცია გააჩერხა. მას 50 წუთში გადაურბინა შარშანდელმა ფინალისტმა სებასტიან გროჟანმა.

**GARRY WEBER OPEN**
ჰალე. ბალახი
საპრიზო 792 ათასი €

**მეორე წრე**

**რაინერ შუტლერი (2, გერმანია)** — იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:4; **მარდი ფიში (6, აშშ)** — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 6:3; **ნიკოლას კიფერი (გერმანია)** — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 5:7, 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)** — ანდრეას სეპი (იტალია) 6:3, 6:4



## ირლანდია

**პრემიერლიგა. XVI ტური**

**უოტერფორდი 0:1 სენტ პატრიკსი**
**კორკ სიტი 2:1 დერი სიტი**
**დუბლინი 1:1 დროჰედა**
**ლონგფორდი 0:2 შელბურნი**

## ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი XLI ტური**

**ხერესი 1:1 კადისი**

## პოლონეთი

**პირველი ლიგა. XXVI ტური**

**კატოვიცე 2:4 ლეგია**
**ლეხი 2:2 ვისლა**
**ლეჩნა 1:0 ამიკა**
**პოლონია 2:0 გურნიკი**
**სვიტი 0:0 პოლკოვიცე**
**ვიძევი 0:1 გროცლინი**

## ამხანაგური მატჩი

**ესტონეთი 2:4 მაკედონია**



# F1

**მერვე ეტაპი** **კანადის დიდი პრიზი**

**ჟილ ვილნევი**

*მონრეალი, 13 ივნისი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- **4.361 კმ**
**რბოლის დისტანცია** ----------------------- **70 წრე — 305.270 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 21.30 საათზე*

**შარშან:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 რ.შუმახერი (უილიამსი); 3 მონტოია (უილიამსი); 4 ალონსო (რენო); 5 ბარიკელო (ფერარი); 6 რაიკონენი (მაკლარენი); 7 ვებერი (იაგუარი); 8 პანი (ტოიოტა)

**წრის რეკორდი:** 2003 — მონტოია (უილიამსი) 1:15.960 (206,7კმ/სთ)

**მეფორმულეებმა** წლეულს უკვე მეორედ აიკრეს გუდა-ნაბადი ევროპიდან — წინ ორი ჩრდილოამერიკული ეტაპია.

ხვალ მონრეალში, ლეგენდარული კანადელი პილოტის ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე 26-ედ გათამაშდება „კანადის დიდი პრიზი" (კიდევ ათჯერ ორ სხვა ტრასაზე გაიმართა), ერთი კვირის შემდეგ კი ოქტომბრიდან ივნისში გადმოტანილი ინდიანაპოლისის (აშშ) საუკუნოვან ტრეკზე რბოლა გველის.

„სამეფო რბოლების" კალენდარში 1978 წელს „ჩამჯდარ" მონრეალის საშუალო სიგრძე-სირთულის, ლამის ყველაზე ნელ წრეზე, ძალიან მოკლე სასტარტო მონაკვეთია და ამის გამო ხშირია შეხლა-შემოხლა. ამდენად, ბრძოლის პირველ რიგიდან დაწყებას გამორჩეულად დიდი მნიშვნელობა აქვს.

„წყნარ" ტრეკზე პირველი რბოლა (1978) სწორედ ჟილ ვილნევმა („ფერარი") მოიგო, დღევანდელებიდან კი მხოლოდ ძმებ შუმახერებს გაუმარჯვიათ. რალფმა ერთხელ (2001) მიაღწია წარმატებას, კანადის ექვსგზის ჩემპიონი მიხაელი კი თავის ყოველ მეორე რბოლას იგებს და, ცხადია, ხვალაც უმთავრეს ფავორიტად ითვლება. წლეულს შვიდიდან ექვსი ეტაპის მომგები „წითელი ბარონი" ამერიკაშიც მაქსიმალური შედეგისთვის იბრძოლებს: „მონრეალიც და ინდიანაპოლისიც „ფერარის" ტრასებია. ასე რომ, იმედია, ამჯერადაც ყველაზე ძლიერები ვიქნებით. ჩვენ უსიამოვნებები გვექმნება მონტე კარლოს მსგავს ტრასებზე, მაგრამ ამერიკაში მაინც ორივე რბოლის მოგებას ვაპირებ."

„შუმების" გარდა ყურადღება წლევანდელი გმირების, რვასეზონიან საფორმულო კარიერაში ოცი დღის წინ პირველი დიდი პრიზის მომგებ იარნო ტრულის („რენო") და ბარელ ჯენსონ ბატონისკენაცაა მიმართული. განსაკუთრებით აქტიურობს ხუთჯერ პოდიუმზე შემდგარი ბატონი — კანადისთვის „ჰონდამ" ახალი, უფრო მძლავრი ძრავა დაგვიმზადა და გამარჯვების შანსიც მეტია, გადამწყვეტი მანქანის საიმედოობა იქნებაო.

ცნობისთვის, მხოლოდ სამმა მრბოლმა — ბატონმა, ტრულიმ და ფერარელმა რუბენს ბარიკელომ შეძლეს მიმდინარე სეზონის შვიდივე ეტაპზე ქულების მოპოვება. ბრიტანელმა ბუქმეიკერებმაც მიხაელ შუმახერთან ერთად სწორედ ამ სამეულს (და მეორე რენოელ ფერნანდო ალონსოს) მისცეს ყველაზე მაღალი „კუშები".





REUTERS ლონდონიდან

ყოფილმა ეთიოპიელმა აწ კი თურქეთის პასპორტის მქონე ელვან აბეილეგასემ 5 000 მეტრზე რბენაში ჩინელი ბო ჯიანგის შვიდი წლის რეკორდი მოხსნა. ლონდონში გუშინ დაწყებულ „ოქროს ლიგის" პირველ სერიაში მან ეს დისტანცია 14 წუთში და 24,68 წამში გაირბინა და ბოს მიღწევას მთელი 3,41 წამი ჩამოაჭრა.

## შვიდკაცა. ევროპის სერია. თბილისი




*დღეს-ხვალ ვაკეში „ლოკომოტივზე“ დიდი სარაგბო დღესასწაულია. შეგიძლიათ, ოჯახებით დაირაზმოთ, სახლის კარი საიმედოდ გამოიხუროთ და უქმეები დილიდან დალამებამდე სტადიონზე გაატაროთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არ ინანებთ. რაგბი კარგი სანახავი თამაშია და მით უმეტეს, შვიდკაცა. ხოლო ვისაც სპორტი ნაკლებად აინტერესებს, მატჩებს შორის დაგეგმილ ღონისძიებებს დაელოდოს, ბურთაობის დროს კი თავი კაფეში ჯდომით შეიქციოს. „ლოკომოტივზე“ რამდენიმე ღია კაფე იმუშავებს*

# ყავა, ლუდი და რაგბი
## ჯერ გაკვეთილი, მერე ხალისი

**ხალხური** ცეკვა-სიმღერებითა და „ბლუზ მობილ ბენდის“ ცოცხალი მუსიკით გაჯერებული სანახაობა დღეს დილით დაიწყება (ან უკვე დაიწყო. გააჩნია, გაზეთს რა დროს კითხულობთ). თავიდან მინდორზე ნორჩი მორაგბეები გავლენ. მათ შორისაც არანაკლები ბრძოლები გაჩაღდება, ვიდრე უფროსებში. იქნება ქართულ კლუბებს შორის შვიდკაცაც. ძირითადი ტურნირი კი ოთხ საათზე დაიწყება საფრანგეთი — ანდორას მატჩით.

ევროპის სერიის თბილისური ეტაპი უკვე მეორედ ტარდება. შარშან კლოდ სორელის გაწვრთნილმა ბორჯღალოსნებმა იჩემპიონეს, წლეულს კი სათავეში ექსბორჯღალოსანი ზაზა ლეჟავაა და როგორც მან ამ დღეებში თქვა, მისთვის მეორე ადგილიც დიდი წარუმატებლობა იქნება — გასულ უქმეებზე ლონდონში ფრანგებმა მცირე თასი წაგვართვეს და საკადრისი პასუხი ვაკეში უნდა გავცეთო.

კენჭიც ისე იყარა, წესით, ქართულ ფრანგული დაპირისპირება ფინალამდე არ უნდა შედგეს. ეს იმ შემთხვევაში თუ ორივე ჯგუფურ პირველ ადგილებს დაიკავებს, ფრანგებს ყველაზე მეტ წინააღმდეგობას ალბათ უკრაინელები და რუმინელები გაუწევენ. ზაზა ლეჟავას გუნდის მთავარი მეტოქე კი შაბათს შოტლანდია იქნება. თუ მას სძლიეს, ქვეჯგუფში პირველობა თითქმის გარანტირებულია, თუ ისევ შინაურმა არ ჩაამწარა. შვეიცარიელები რომ ვერ ჩამოვიდნენ, ერთი ადგილი გამოთავისუფლდა და იგი სახელდახელოდ შექმნილმა საქართველოს მეორე ნაკრებმა დაიკავა. ზაზა ლეჟავას თბილისურ განაცხადს მიღმა დარჩენილები შარშანდელი ეტაპის საუკეთესო მელელოვემ ირაკლი მაჩხანელმა შემოიკრიბა, აქაოდა, რახან ტრავმა ხეირიანად დატვირთვის საშუალებას არ მაძლევს, თავს მწვრთნელობაში მაინც გამოვცდიო.

ქვეჯგუფის შეხვედრები ათ საათამდე გასტანს, თუმც ბოლომდე მაინც ვერ მოესწრება და ოთხი თამაში ხვალ, დილის ათიდან თორმეტის ნახევრამდე ჩატარდება. შუადღიდან ფიალებისა თუ სხვადასხვა სიდიდის თასების გათამაშებიც დაიწყება. ფინალი კი ცხრის ნახევარზე შედგება.

ძირითადი შვიდკაცას გახურებამდე, ორის ნახევარზე მინდორზე აფრიკული „ბლუ ბულზი“ გავა და საქართველოს კლუბების ნაკრებს ალბათ სარაგბო გაკვეთილს ჩაუტარებს. წინასწარი ინფორმაციით „ხარებს“, პირველ თამაშში მეორე შემადგენლობა უნდა დაეყენებინათ, მაგრამ როტომღაც გადაიფიქრეს და თითო-ოროლა გამონაკლისი გარდა საუკეთესოებს უხმეს. ძირითადში იქნებიან დევკაცი გეო კრონხე და არანკლები დენი როსოუ, რომელმაც გასულ ზაფხულს მსოფლიოს თასზე საქართველო ორჯერ დაალელოვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს შვიდკაცა

ირაკლი გუნდიშვილი
ბესიკ ხამაშურიძე
ირაკლი გიორგაძე
ირაკლი აბუსერიძე
გიორგი კაჭარავა
ლაშა ფირფილაშვილი
ლექსო გუგავა
გია ლაბაძე
თედო ზიბზიბაძე
მახო ურჯუკაშვილი
მწვრთნელი: ზაზა ლეჟავა

### საქართველო 2

მამუკა გორგოძე
შოთა საყვარელიძე
სიმონ მაისურაძე
ბექა სარდანაშვილი
ოთარ ბარკალაია
ვახო მჭედლიძე
მერაბ კვირიკაშვილი
დავით კაჭარავა
გიორგი შკინინი
გიორგი ელიზბარაშვილი
მწვრთნელი: ირაკლი მაჩხანელი

### შვიდკაცას განრიგი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| საფრანგეთი | შოტლანდია |
| უკრაინა | საქართველო |
| რუმინეთი | საქართველო 2 |
| ისრაელი | აზერბაიჯანი |
| ანდორა | მოლდოვა |

**12 ივნისი**

| | |
|---|---|
| 16.00 | ანდორა — საფრანგეთი |
| 16.20 | მოლდოვა — შოტლანდია |
| 16.40 | უკრაინა — რუმინეთი |
| 17.00 | საქართველო — საქართველო 2 |
| 17.20 | საფრანგეთი — ისრაელი |
| 17.40 | შოტლანდია — აზერბაიჯანი |
| 18.00 | უკრაინა — ანდორა |
| 18.20 | საქართველო—მოლდოვა |
| 18.40 | რუმინეთი — ისრაელი |
| 19.00 | საქართველო 2 — აზერბაიჯანი |
| 19.40 | საფრანგეთი — უკრაინა |
| 20.00 | შოტლანდია — საქართველო |
| 20.20 | რუმინეთი — ანდორა |
| 20.40 | საქართველო 2 — მოლდოვა |
| 21.00 | უკრაინა — ისრაელი |
| 21.20 | საქართველო — აზერბაიჯანი |

**13 ივნისი**

| | |
|---|---|
| 10.00 | საფრანგეთი — რუმინეთი |
| 10.20 | შოტლანდია — საქართველო 2 |
| 10.40 | ისრაელი — ანდორა |
| 11.00 | აზერბაიჯანი — მოლდოვა |

| | | |
|---|---|---|
| **სანუგეშო ნახევარფინალი** | | |
| 15.00 | 3A-4B | (1) |
| 15.20 | 4A-3B | (2) |
| **ნახევარფინალი** | | |
| 15.40 | 1A-2B | (3) |
| 16.00 | 2A-1B | (4) |
| **მე-9 ადგილისთვის** | | |
| 18.00 | 5A-5B | |
| **მე-7 ადგილისთვის** | | |
| 18.30 | 1-2 (წაგებულები) | |
| **მე-5 ადგილისთვის** | | |
| 19.00 | 1-2 (მოგებულები) | |
| **მე-3 ადგილისთვის** | | |
| 19.30 | 3-4 (წაგებულები) | |
| **ფინალი** | | |
| 20.30 | 3-4 (მოგებულები) | |



„ხარები“ ქართულ კლუბთა ნაკრებს თითქმის სრული შემადგენლობით შეუტევენ

### ამხანაგური მატჩი

12 ივნისი. ლოკომოტივი. 13.30

| კლუბების ნაკრები | | ბლუ ბულზი |
|---|---|---|
| გიორგი ასათიანი | 15 | იოჰან რუთსი |
| ნონო ანდღულაძე | 14 | კიგან ფრედერიქსი |
| კახა ალანია | 13 | ჯეიპი ნილი |
| ლუკა ხაჩირაშვილი | 12 | ეტიენ ბოთა |
| ზვიად კობერიძე | 11 | ფრიკი ველში |
| ბობა კვინიხიძე | 10 | ლუის სტრიდომი |
| ბიძინა სამხარაძე | 9 | სკოტ მათი |
| ზვიად მაისურაძე | 8 | ენტონ ლეონარდი |
| გიორგი ტრაპაიძე | 7 | რუან ფერმუილენი |
| გიორგი კახიანი | 6 | უინ ერლოუ |
| ლევან დათუნაშვილი | 5 | დენი როსოუ |
| ზურაბ ბერძენიშვილი | 4 | გეო კრონხე |
| აკაკი სანაძე | 3 | ანდრეს ჰუმანი |
| ნიკო ჭავჭავაძე | 2 | კობუს ფან დერ ვალკი |
| დავით გასვიანი | 1 | ვესელ რუ |
| **სათადარიგოები** | | |
| გიორგი ჩოხია | 16 | რიჩარდ ბანდსი |
| გიორგი ყღენტი | 17 | სიას ვაგნერი |
| დავით ყღენტი | 18 | ფრანსუა ფან სხოვენბურგი |
| ნიკა მხეიძე | 19 | ბიან ფერმააკი |
| თემურ სოხაძე | 20 | დენი ვან დერ მერვე |
| ფრიდონ უდესიანი | 21 | მორნე სტეინი |
| ვასილ აბაშიძე | 22 | რიან ვანდერბერგი |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge